პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 304 (9772) | შაბათი, 26 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ამხანაგ მაო ძე-დუნისადმი (1-ლი გვერდი).

საბჭოთა სასამართლომ შეასრულა ჩვენი ხალხის ნება (მე-2 გვერდი).

ორდენებისა და მედლების გადაცემა რკინიგზელებისათვის (მე-2 გვერდი).

პირუტყვის გამოზამთრება. — კვლავ ძველებურად, უპასუხისმგებლოდ (მე-2 გვერდი).

გაზეთების ფურცლებზე. — ლაპარაკობენ მტკვარში საეშაოდ წასული სპეციალისტები (მე-2 გვერდი).

ე. ნირკი. — ესტონური ლიტერატურის ფუძემდებელი (მე-3 გვერდი).

პ. მელნიკოვი. — ნათელი ჰოროსკოპები (მე-3 გვერდი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის გამოხმაურება [illegible] ბაზე პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამოსვლის გამო (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გავაუმჯობესოთ სტუდენტთა სწავლისა და აღზრდის ხარისხი

ჩვენს ქვეყანაში უმაღლესმა განათლებამ გიგანტური გაქანება მიიღო. უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვი წლითიწლობით იზრდება. მიმდინარე წელს უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრა 200 ათასზე მეტმა კაცმა, ხოლო პირველ კურსებზე მიღებულია 400 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. მეხუთე ხუთწლედში კვალიფიციურ სპეციალისტთა გამოშვება მნიშვნელოვნად გადიდდება.

უმაღლესი სკოლის წინაშე სერიოზული ამოცანები დაისახა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან და პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომელთა მიზანია მოეწყოს სოფლის მეურნეობის და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობა. სოფლის მეურნეობას, მსუბუქ და კვების მრეწველობას, საბჭოთა ვაჭრობას, რომელთა განვითარებასაც ჩვენი სახელმწიფო ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, ესაჭიროებათ მაღალი კვალიფიკაციის მრავალრიცხოვანი კადრები. ასეთი კადრების მომზადება მკვეთრად იზრდება.

უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადების შემდგომი გაფართოება მოითხოვს უმაღლესი სასწავლებლების, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების განლაგების სწორ დაგეგმვას, მომავალ სპეციალისტთა კონტინგენტების სწორ დაგეგმვას. მაგალითად, არაფრით არ არის გამართლებული სოფლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორთა მწვავე ნაკლებობა. უმაღლესმა სასწავლებლებმა უფრო სრულად უნდა დააკმაყოფილონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგის მოთხოვნები. სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ გადაჭრით უნდა აღმოფხვრას ნაკლოვანებანი სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვაში.

ბევრი რამ არის გასაკეთებელი სტუდენტი ახალგაზრდობის სწავლისა და აღზრდის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ცნობილია, რომ ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების დონე მთელ რიგ შემთხვევებში არ შეეფერება კომუნისტური მშენებლობის გაზრდილ მოთხოვნებს. ეს განსაკუთრებით ჩანს სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სკოლის მაგალითით. თანამედროვე მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, რომელიც აღჭურვილია პირველხარისხოვანი ტექნიკით, სპეციალისტებისაგან მოითხოვს აგრონომიის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, მეცხოველეობის მრავალმხრივ და ღრმა ცოდნას, ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარს. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები კი ხშირად ამზადებენ მხოლოდ ვიწრო კვალიფიკაციის სპეციალისტებს, რომლებმაც იციან სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხოლოდ რაღაც ერთი მხარე და უნარი არ შესწევთ უზრუნველყონ კვალიფიციური ხელმძღვანელობა დიდი მრავალდარგოვანი კოლმეურნეობისა ან საბჭოთა მეურნეობისადმი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურისადმი. ყველა სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებელი მუშაობს ერთი და იმავე სასწავლო გეგმებით და პროგრამებით, არ ითვალისწინებს იმ ზონის ბუნებრივ და ეკონომიურ თავისებურებებს, რომელიც იმყოფება.

საქმის ინტერესები მოითხოვს იმას, რომ გადაჭრით გადაისინჯოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების პროფილი. ჩვენს კოლმეურნეობებს, მტს-ებს, საბჭოთა მეურნეობებს ესაჭიროებათ სპეციალისტები უფრო ღრმა ზოგადმეცნიერული მომზადებით, ფართო ცოდნით ბიოლოგიის, აგროტექნიკის, ზოოტექნიკის, მექანიკის, წარმოების ორგანიზაციის დარგში. ამასთან ძალიან საჭიროა, რომ ახლად შექმნილი უმაღლესი სასწავლებლები განლაგდეს წარმოების შესაბამის რაიონებთან ახლოს. მაგალითად, სოციალისტური სდფლის მეურნეობის განვითარების ინტერესები სრულიადაც არ მოითხოვს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების შემდგომ კონცენტრაციას ისეთ ცენტრებში, როგორიც მოსკოვი და ლენინგრადია.

სტუდენტთა სწავლისა და აღზრდის ხარისხი, როგორც ცნობილია, დამოკიდებულია ლექციების ხარისხზე, სასწავლო პროცესის მოწყობაზე. საჭიროა

„პრავდის“ 24 დეკემბრის
მოწინავე

გადაჭრით განვდევნოთ სწავლების პრაქტიკიდან ფორმალიზმი, დოგმატიზმისა და მედავითნეობის ელემენტები, რომლებიც ჯერ კიდევ არის ბევრი მასწავლებლის ლექციებში. მჭიდრო კავშირი თეორიისა პრაქტიკასთან, ღრმა თეორიულ დებულებათა შეხამება მათი პრაქტიკული მნიშვნელობის ჩვენებასთან, კურსების წაკითხვაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენება — აი პირველ რიგში რა არის საჭირო სტუდენტთა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. კვალიფიციური ინჟინრების, აგრონომებისა და სხვა სპეციალისტების მომზადებას სერიოზულ ზიანს აყენებს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია.

სტუდენტთა სწავლასა და აღზრდაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მათი სასწავლო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობას, კონტროლსა და დახმარებას მუშაობაში. სწორი არ არის, როცა კონტროლი და დახმარება იქცევა წვრილმან მეურვეობად, ხოლო სწავლება ხორციელდება სკოლარული მეთოდებით, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც უნარი ექნებათ დამოუკიდებლად გაერკვნენ წარმოების საკითხებში. ჩვენ გვაქვს მდიდარი გამოცდილება მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლებისა, მაგალითად, მოსკოვის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ენერგეტიკული ინსტიტუტისა, სადაც სტუდენტის დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის მეთოდი დიდ როლს ასრულებს სწავლის პროცესში. ეს გამოცდილება მოწმობს აგრეთვე იმას, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გასაუმჯობესებლად უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა ზრუნვას სტუდენტთა სამუშაო დღის ნორმალიზაციისათვის.

სასწავლო პროგრამები განსაზღვრავენ იმ სასწავლო მასალის მოცულობასა და სიღრმეს, რომელსაც სტუდენტებს გადასცემენ. შეუწყნარებელია, როცა პროგრამები გადატვირთულია მეორეხარისხოვანი მასალებით, ხოლო განსაკუთრებით საჭირო თავების შესწავლა ხშირად სრულიად არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში ლითონების ტექნოლოგიის კურსი, რომელსაც ხელსაწყოთმშენებელ სტუდენტებს უკითხავენ, სრულიად არ ითვალისწინებს ხელსაწყოთმშენებლობის წარმოების თავისებურებებსა და მოთხოვნებს და მის უახლეს მიღწევებს. ამის შედეგად ახალგაზრდა ხელსაწყოთმშენებელი სპეციალისტები საწარმოებში მოდიან ისე, რომ საკმაო თეორიული და პრაქტიკული მომზადება არა აქვთ.

სათანადო დისციპლინაში მცირე მოცულობის, მაგრამ ძირითადი მასალით მდიდარი კარგი სახელმძღვანელო სტუდენტთა მაღალი წარმატების აუცილებელი პირობაა. ასეთი სახელმძღვანელოები ჯერ კიდევ ცოტაა. ახლა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა 700-800 გვერდის მოცულობის სახელმძღვანელები და დამხმარე სახელმძღვანელები. როგორც წესი, ისინი გადატვირთულია მოძველებული და პირდაპირ უვარგისი ცნობებით. გასაკვირველი არ არის, რომ ბევრი სტუდენტი არ სარგებლობს ასეთი სახელმძღვანელოებით, გამოცდების დღეებში სჯერდება მხოლოდ ლექციების კონსპექტების გადასინჯვას. მთელ რიგ დისციპლინებში სახელმძღვანელოები ჯერ არ შექმნილა.

საბჭოთა უმაღლეს სკოლაში მთელი სასწავლო მუშაობა შეხამებული უნდა იყოს ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, კომუნისტური მშენებლობის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით სტუდენტი ახალგაზრდობის ყოველდღიურ აღზრდასთან. სტუდენტობას უნდა ჩავუნერგოთ მაღალი კომუნისტური მორალი, კოლექტივიზმის, ამხანაგობისა და მეგობრობის გრძნობა, შეგნებული დისციპლინა, აქტიურად უნდა ვიბრძოლოთ ჩვენს ახალგაზრდობაზე უცხო გავლენის ცდების წინააღმდეგ. უმაღლესმა სკოლამ სტუდენტებს უნდა ჩაუნერგოს აგრეთვე სიყვარული არჩეული პროფესიისადმი, თავის სპეციალობაში განუწყვეტლივ დახელოვნების სურვილი.

მაგრამ ყველა უმაღლეს სასწავლებელში როდი ექცევა საჭირო ყურადღება აღმზრდელობითს მუშაობას. ცუდი აღმზრდელობითი მუშაობის პირდაპირი შედეგია, მაგალითად, როცა ცალკეული ახალგაზრდა სპეციალისტები უარს ამბობენ წავიდნენ სამუშაოდ შორეულ რაიონებში, იქ, სადაც მათი ყველაზე მწვავე ნაკლებობაა. სტუდენტთა შორის ჯერ კიდევ გვხვდებიან პატივმოყვარეები, ეგოისტები, ადამიანები, რომლებისთვისაც პირადი ინტერესები უფრო ძვირფასია, ვიდრე საზოგადოების, კოლექტივის ინტერესები. უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიური წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ სტუდენტთა შორის უცხო ჩვევების შეღწევას, აღზარდონ სულით ძლიერი, პატიოსანი და კეთილსინდისიერი, მხნე და ხალისიანი ახალგაზრდობა, რომელსაც არ ეშინია სიძნელეებისა, მზად არის გადალახოს ყოველი დაბრკოლება კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმისათვის.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების როლი, რომლებმაც უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სასწავლო-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებაში, იზრუნონ სტუდენტთა ყოფაცხოვრებისათვის. უმაღლესი სასწავლებლების ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია ცუდად ასრულებს ამ თავის მოვალეობებს. ამას წინათ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გაეცნო ყუბანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობას და აღნიშნა, რომ იგი სუსტად ეხმარება დირექციას და პარტიულ ორგანიზაციას სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში. საკავშირო ალკკ ინსტიტუტის კომიტეტი ცუდად მუშაობს სტუდენტთა სწავლისა და დისციპლინის საკითხებზე, შეურიგდა ინსტიტუტის ცალკეულ სტუდენტთა არასწორ საქციელს. კომუნისტური მორალის სულისკვეთებით სტუდენტთა აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს კომკავშირული ორგანიზაცია იშვიათად განიხილავს. საკავშირო ალკკ კომიტეტი შემრიგებლურად ეპყრობა ნაკლოვანებებს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში, არ იბრძვის ბუფეტების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. საკავშირო ალკკ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს ინსტიტუტის კომკავშირულ ორგანიზაციას.

უახლოეს დღეებში უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყება ზამთრის საგამოცდო სესია. იგი უნდა მოეწყოს მშვიდ და საქმიან ვითარებაში. სტუდენტებს უნდა წავუყენოთ მაღალი, მაგრამ სამართლიანი მომთხოვნელობა, გულმოდგინედ უნდა შევამოწმოთ მათი ცოდნა, გავლილი მასალის შემოქმედებითი გაგება. სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში შერბილებას, ლიბერალიზმს აუცილებლად მოსდევს ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების ხარისხის სერიოზული გაუარესება.

უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორი მოწყობისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს. მათ მუდამ უნდა აინტერესებდეთ უმაღლესი სკოლის ცხოვრება, აუმჯობესებდნენ უმაღლესი სასწავლებლების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, ამაღლებდნენ მათს როლს სტუდენტთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, ცოდნის დაუფლებისათვის საბრძოლველად სტუდენტი ახალგაზრდობის ორგანიზაციაში. უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობაზე, მათ საჭიროებაზე, სტუდენტთა სწავლისა და აღზრდის ნაკლოვანებებზე უფრო ხშირად უნდა წერდნენ ჩვენი გაზეთები.

უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დასახულია სპეციალისტთა მომზადების შემდგომი გაფართოებისა და გაუმჯობესების პასუხსაგები ამოცანები. ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა

საქართველოს საკონსერვო მრეწველობის საწარმოებმა 20 დეკემბრისათვის 101,5 პროცენტით შეასრულეს კონსერვების გამოშვების 1953 წლის გეგმა. მათ ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოუშვან სხვადასხვა სახის კონსერვები.

საქართველოს კონსერვტრესტის საწარმოებმა 1953 წელს გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 7,6 პროცენტით გაადიდეს, პროდუქციის თვითღირებულება 11 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11 პროცენტით შეამცირეს, ხოლო გეგმასთან შედარებით 7,1 პროცენტით, რის შედეგადაც დაზოგილია 6,1 მილიონი მანეთი.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარეს

ამხანაგ მაო ძე-დუნს

ძვირფასო ამხანაგო მაო ძე-დუნ!

თქვენი სამოცი წლისთავის დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ძმურ კომუნისტურ სალამს გიძღვნიან თქვენ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ნაცად ხელმძღვანელსა და ჩინელი ხალხის ბელადს.

მთელი თქვენი სიცოცხლე განუყრელად დაკავშირებულია ჩინელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ჩინეთის კომუნისტური პარტიის გმირულ ბრძოლასთან, რომელიც დაგვირგვინდა მისი დიდი ისტორიული გამარჯვებით — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნით. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა და მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის მძლავრი ძალა გახდა.

შინაგანი რეაქციის ძალებისა და იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ მძიმე ბრძოლის მკაცრ წლებში და ახლაც, ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე, თქვენ მუდამ ახმარდით და ახმართ მთელ თქვენს ძალებს ხალხის სამსახურს, მშრომელთა საქმის გამარჯვებისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლას. თქვენ ბრძნულად ახორციელებთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შეერთებას ჩინეთის ანტიიმპერიალისტური რევოლუციის პრაქტიკასთან, ახალი, სახალხო დემოკრატიული ჩინეთის მშენებლობასთან, შემოქმედებითად ავითარებთ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, ხართ ჩინელი და საბჭოთა ხალხების სამარადისო მეგობრობის მედროშე.

მთელი სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო მაო ძე-დუნ, მრავალ წელს სიცოცხლეს, ძალებსა და ჯანმრთელობას დიდი ჩინელი ხალხის საბედნიეროდ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საკეთილდღეოდ და ასაყვავებლად, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

პრემიები მეცნიერული ნაშრომებისათვის მედიცინაში

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიანიჭა პრემიები 1953 წელს შესრულებული თვალსაჩინო მეცნიერული ნაშრომებისათვის.

აკადემიკოს ნ. ნ. ბურდენკოს სახელობის სამი ყოველწლიური პრემიიდან ერთ-ერთი მიენიჭა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ვ. რ. ბრაიცევს მონოგრაფიისათვის „სწორი ნაწლავის დაავადებანი“.

აკადემიკოს ნ. ნ. ბურდენკოს სახელობის პრემია მიენიჭა აგრეთვე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ვ. დ. ფოლოვანოვს ნაშრომისათვის „ტვინის ნატყვიარი მოგვიანებული ამსცენების ქირურგიული მკურნალობა“. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა პ. ნ. მაზაევმა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა პ. მ. ჩეპოვმა მიიღეს აკადემიკოს ნ. ნ. ბურდენკოს სახელობის პრემია პრეზიდიუმმა მიანიჭა ექიმ ი. ნ. შეველიოვს მონოგრაფიისათვის „შეფერადებული ქრონაქსია“, რომელიც დამუშავებულია მხედველობის ფიზიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

გამოჩენილი რუსი ვირუსოლოგის დ. ი. ივანოვსკის სახელობის პრემია მიენიჭა მეცნიერ მუშაკთა ჯგუფს პროფესორ მ. პ. ჩუმაკოვის მეთაურობით. მათ აღმოაჩინეს ახალი სხვადასხვაგვარი ვირუსები და შეიმუშავეს ამ ვირუსებით გამოწვეული ზოგიერთი დაავადების თავიდან აცილებისა და მკურნალობის მეთოდები. (საკდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სავაჭრო დელეგაციის მეთაური

24 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სავაჭრო დელეგაციის მეთაური — სახელმწიფო ადმინისტრაციულ საბჭოსთან არსებული საფინანსო-ეკონომიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ე ძი-ჯუანი სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1954 წლისათვის საქონელბრუნვის შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად.

ე ძი-ჯუანს აეროდრომზე შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ს. ა. ბორისოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის წევრი მ. რ. კუზმინი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. პ. მიგუნოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთის სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. ი. სლადკოვსკი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთის სამმართველოს ჩინეთის განყოფილების უფროსი დ. ი. შჩრბინა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი ი. ს. ანდრიენკო.

ე ძი-ჯუანს შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს წევრები საქმეთა დროებითი რწმუნებულის გე ბაო-ციუანის მეთაურობით და ჩინეთის სავაჭრო დელეგაციის წევრები.



ჩელიაბინსკის კოლიუშჩენკოს სახელობის ხაგზაო მანქანების ქარხანა უშვებს ბულდოზერებს, ექსკავატორებს, სკრეპერებს. მანქანები დიდი რაოდენობით იგზავნება მტს-ებში. სოფლის მეურნეობის ყველა დაკვეთას ქარხნის კოლექტივი ვადამდე ასრულებს. სურათზე: ქარხნის ერთ-ერთ საამქროში. მარჯვნივ — ზეინკალი პ. გ. რუსოვი, რომელიც ნორმას 250-300 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვ. გეორგიევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მოღოჯოვის ნავსაღგურის მშენებლობაზე

მოლოტოვი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ასობით მეტრზეა გადაჭიმული კამის ნაპირის გაყოლებით მოლოტოვის ნავსადგურის სამშენებლო მოედნები: აქ დაძაბული მუშაობაა. ამჟამად მშენებლები გრუნტით ავსებენ სივრცეს ნავმისადგომის ბეტონის კედელსა და ნაპირს შუა. ამისათვის იყენებენ უახლეს ტექნიკას: მიწისმწოვ მანქანებს, ექსკავატორებს, ბულდოზერებს, მძლავრ თვითსაცლელებს. სანაპიროს ნაწილი უკვე მზად არის.

ბევრმა მუშამ შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწია. მაგალითად, ამხ. შილოვი, რომელიც ნახევარკუბიანი ექსკავატორით მუშაობს, ცვლაში ასწრებს 600-800-მდე კუბური მეტრი გრუნტის ჩაყრას, მაშინ როცა ნორმით გათვალისწინებულია 280 კუბური მეტრი.

მეფოლადეთა მიღწევები

მაგნიტოგორსკი, 24 დეკემბერი. (საკდესი). კომბინატის № 2 მარტენის საამქროს კოლექტივმა წლიური გეგმა შეასრულა. ფოლადის წარმოება გასულ წელთან შედარებით 6,5 პროცენტით გადიდდა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით საამქრომ სამ მილიონ მანეთზე მეტი დაზოგა.

საამქროს ინჟინრებმა მეფოლადეებთან შემოქმედებითი თანამშრომლობით ბევრი ტექნიკური სიახლე დანერგეს. ცალკეულ მარტენებზე შეიცვალა ჰაერის მიწოდების სისტემა. ამან გაადიდა დნობის პროცესის ინტენსივობა.

საამქროს კოლექტივმა კომბინატის, აგრეთვე უკრაინის, ცომბირის, ურალის მეტალურგიული ქარხნების მოწინავე მეფოლადეთა მუშაობის გამოცდილების ათვისებით მიმდინარე წელს თითქმის 300 ჩქაროსნული ნადნობით მეტი გამოუშვა, ვიდრე შარშან.

პავლოვური ფიზიოლოგიის ახალი წარმატებანი

ლენინგრადი, 23 დეკემბერი. (საკდესი). უკანასკნელი შვიდი დღის განმავლობაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ი. პ. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში გაიმართა ორი თათბირი, რომლებიც მიეძღვნა საკითხებს: თავის ტვინის ქერქის კავშირი შინაგან ორგანოებთან და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ნერვული რეგულაცია.

პირველ თათბირზე განიხილეს 70-ზე მეტი მოხსენება, რომლებშიც განზოგადებული იყო ფიზიოლოგთა, ფარმაკოლოგთა, პათოლოგთა, თერაპევტთა, ქირურგთა, ფსიქიატრთა და სხვა სპეციალისტთა გამოცდილება.

გუშინ დამთავრდა თათბირი, რომელიც მიეძღვნა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ნერვული რეგულაციის საკითხებს. თათბირში მონაწილეობას იღებდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ალმა-ატისა და სხვა ქალაქების 200-ზე მეტი მეცნიერი-ფიზიოლოგი.

თათბირმა მოისმინა 40-მდე მოხსენება. მომხსენებლებმა ცხადყვეს ნერვული სისტემისა და მის უმაღლეს განყოფილებათა წამყვანი როლი შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედების რეგულაციაში, ცვლილებანი ცენტრალური ნერვული სისტემის მდგომარეობაში ამ ჯირკვლების მთელ რიგ დაავადებათა დროს.

საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ნიზამი განჯელის გარდაცვალების 750 წლისთავისადმი

24 დეკემბერს მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის გარდაცვალების 750 წლისთავს.

საზეიმო სხდომა გახსნა სტალინური პრემიის ლაურეატმა ს. შჩიპაჩოვმა. მან ილაპარაკა, თუ რა დიდი წარუშლელი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო პოეზიის კორიფეს, უდიდესი ჰუმანისტის, ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერების მგოსნის უკვდავ ქმნილებებს. ნიზამის უდიდესი პოეტური მემკვიდრეობა, მისი ეპიკური პოემები „ხოსროვ და შირინი“, „ლეილი და მეჯნუნი“, „შვიდი მზეთუნახავი“, „ისკანდერნამე“ მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში შევიდა, ხალხთა უფართოესი მასების კუთვნილება გახდა.

ნიზამი განჯელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ე. ე. ბერტელსმა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქისა და აზერბაიჯანის ხელოვნების ოსტატებმა, რომლებმაც შეასრულეს ნიზამის ლექსები და მის პოემათა ნაწყვეტები, მუსიკის კლასიკოსთა ნაწარმოებნი. (საკდესი).

საბჭოთა სასამართლომ შეასრულა ჩვენი ხალხის ნება

★ ★ ★

საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენს სამშობლოს ბილწი მოღალატის, ჯაშუშ ბერიასა და მისი თანამზრახველების სიკვდილით დასჯის შესახებ.

გუშინ საწარმოებსა და დაწესებულებებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში კვლავ გრძელდებოდა ხალხმრავალი კრებები. ამ კრებებზე მტკიცედ გაისმის მშრომელთა ხმა: სასამართლოს განაჩენი ხალხის განაჩენია. ჩვენი მოთხოვნა ახრულდა — იმპერიალიზმის პირსიხმლიანი აგენტები გაცამტვერებული არიან.

ერთსულოვნების ის ვითარება, რომელშიც ხალხმრავალი კრებები იმართება, კიდევ და კიდევ ცხადყოფს მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის უდიდეს ძალას, საბჭოთა ადამიანების მჭიდრო დარაზმულობას მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

★ ★ ★

ჭიათურელ მაღაროელთა სიტყვა

ჭიათურა. (საკ. კორ.). გარეწარ ბერიას მოღალატური ბანდის განადგურების გამო ღრმა კმაყოფილებას გამოთქვამენ მარგანეცის ქალაქის მშრომელები. ხალხმრავალ კრებებზე ისინი აღფრთოვანებით გაეცნენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს განაჩენს.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ოთხგზის ორდენოსანმა ამწმენდმა პავლე მიროტაძემ განაცხადა:

— ხალხის მტრების, ჯაშუშების ავაზაკური ხროვა განადგურებულია. საერთაშორისო იმპერიალიზმმა ერთხელ კიდევ განიცადა დიდი მარცხი. ჩვენს საშინაო და საგარეო მტრებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ საბჭოთა ქვეყანა უძლეველია და ვერავინ ვერ შეძლებს აიცდინოს ჩვენი ხალხი სწორ გზას. ეს გზა ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ მიდის. ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით პარტიისა და მთავრობის გარშემო.

ცნობილმა სტახანოველმა ტრიფონ ფოფხაძემ თქვა:

— ვერაგები და მოღალატეები, რომლებიც ჩვენი მუშურ-გლეხური საბჭოთა წყობილების მოსპობას ლამობდნენ, თვითონ არიან მოსპობილნი. საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო აძლიერებენ თავიანთ შემოქმედებითს შრომას, თავდადებით ებრძვიან კომუნიზმის აშენებისათვის. ჩვენ, ჭიათურელი მაღაროელები, პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ჩვენი სამშობლოს განმტკიცებისათვის იმით ვუპასუხებთ, რომ უფრო ენერგიულად ვიბრძოლებთ მეტი მარგანეცისათვის, ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

უფრო ავამაღლებთ რევოლუციურ სიფხიზლეს

თბილისის საელმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა ხალხმრავალ კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენის შესახებ ინფორმაცია გააკეთა პარტბიუროს მდივანმა ა. ჩაგანავამ.

ტრიბუნაზეა ზეინკალი პ. ცაცანაშვილი.

— ჩვენ, რკინიგზელები, — თქვა მან, — მივესალმებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს განაჩენს იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტების — ბერიასა და მისი თანამზრახველების დახვრეტის შესახებ. საბჭოთა სამშობლოს უბოროტესმა მტრებმა საკადრისი სასჯელი მიიღეს! ჩვენი ვალია კიდევ უფრო ავამაღლოთ რევოლუციური სიფხიზლე, გავასამკეცოთ შემოქმედებითი შრომა კომუნიზმის გამარჯვებისათვის. პირადად მე ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური დავალება ერთიორად გავანაღდო.

საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის ფიქრი და გრძნობა გამოხატა თავის სიტყვაში ოსტატმა კ. ყოენტმა, როცა მან განაცხადა:

— ბერიამ და მისმა დამქაშებმა უაღრესად დიდი ზიანი მიაყენეს საბჭოთა საქართველოს, მის ეკონომიკას, მის კულტურას. დღეს სიხარულით გვევსება გული: სამშობლოს უბოროტესი მტრები ბერია და მისი თანამზრახველები, ბილწი ქვეწარმავლები გასრესილი არიან.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დადგენილება ხალხის უბოროტესი მტრების — ბერიასა და მისი დამქაშების სიკვდილით დასჯის შესახებ. დეპოელებმა პირობა დადეს, რომ კიდევ უფრო აამაღლებენ რევოლუციურ სიფხიზლეს.

საკოლმეურნეო წყოგილება ურყევია

სამტრედია. (საკ. კორ.). მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სამტრედიის რაიონის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სასამართლოს განაჩენს სამშობლოს მოღალატის, საერთაშორისო იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტის ბერიას და მის თანამზრახველთა დახვრეტის შესახებ. სისრულეში მოყვანილი საბჭოთა სასამართლოს ეს განაჩენი მშრომელი ხალხის ნება-სურვილის გამოხატულებაა.

სოფელ მელაურის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე მეცხოველეობის ფერმის გამგემ გ. გოგოძემ განაცხადა: საბჭოთა ხალხის უბოროტეს მტერს ბერიას სურდა ძირი გამოეთხარა საკოლმეურნეო მშენებლობისათვის, მაგრამ ეს გარეწარი დროზე იქნა მხილებული პარტიისა და მთავრობის სიფხიზლის მეოხებით. ჩვენი კოლმეურნეობის წევრები ერთსულოვნად იწონებენ განაჩენს, რომელიც უმაღლესმა სასამართლომ ბერიას და შეთქმულთა მისი ჯგუფის წევრებს გამოუტანა. დაეიცოდნენ მტრებმა, რომ საკოლმეურნეო წყობილება ურყევია. ჩვენ კიდევ უფრო მტკიცედ შევმჭიდროვდებით პარტიისა და მთავრობის გარშემო, ენერგიის დაუზოგავად ვიშრომებთ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, განუხრელად განვახორციელებთ ამ მიზნით პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს.

— სამშობლოს გამყიდველ ბერიასა და მის მიერ შეკოწიწებული ჯგუფის მონაწილეთა დახვრეტის შესახებ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება, — თქვა სამტრედიის აგურის ქარხნის ინჟინერმა მედეა გრძელიშვილმა, — ხალხის განაჩენია. ჩვენი მოვალეობაა კიდევ უფრო გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე, დაუღალავად ვიბრძოლოთ სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

რაიონის კოლმეურნეობებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და რკინიგზის კვანძის საწარმოებში გამართულ ხალხმრავალ კრებებზე კოლმეურნეები, მუშები და ინტელიგენტები კმაყოფილებით ლაპარაკობენ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ბერიასა და მის დამქაშთა საქმის გამო. რაიონის მშრომელები ვალდებულებას კისრულობენ დაუღალავად იშრომონ პარტიისა და მთავრობის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

კოლმეურნეები იწონებენ საბჭოთა სასამართლოს განაჩენს

თელავი. (საკ. კორ). რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებსა და კოლმეურნეობებში ხალხმრავალი კრებები იმართება. მუშები, მოსამსახურეები, მექანიზატორები და კოლმეურნეები ყველგან მოწონებით ხვდებიან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენს ჩვენი ქვეყნის უბოროტესი მტრის ბერიასა და მისი ბანდის მონაწილეთა დასჯის შესახებ.

თელავის ძაფსაღებ ფაბრიკაში კრებას 400-ზე მეტი კაცი დაესწრო. სტახანოველმა მუშამ მარიამ შანგულიძემ სიტყვა ითხოვა და თქვა: წყეულმა ბერიამ და მისი ხროვის მონაწილეებმა საბჭოთა ხალხის მონაპოვარის განადგურება მოიწადინეს. მაგრამ ისინი სასტიკად მოტყუვდნენ. სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ მოღალატეებს საკადრისი სასჯელი მიუზღო.

ბერიასა და მის თანამოაზრეთა დახვრეტის გამო აგრეთვე დიდი კმაყოფილება გამოთქვეს მოწინავე მუშებმა დარიკო ჩაბრაშვილმა, ვარა გელაძემ, ვალია ზავალიანმა და სხვებმა.

ფაბრიკის კოლექტივმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ერთსულოვნად იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენი, — თქვა ცეცხლგამძლე აგურის დამწყობმა ა. ჩაჩანიძემ, — მთელი საბჭოთა ხალხის განაჩენია. კაცობრიობის ამ უბოროტესი მტრების დროზე მხილებასა და განადგურებას ჩვენ, მეტალურგები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ვუპასუხებთ პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლებით.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მარტენის საამქროს უფროსი ს. შარაძენიძე, მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე ვ. მიტასოვი, ოსტატი ბაღდასაროვი და სხვები.

კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც ერთხმად იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენს.

შეთქმულთა ბანდა განადგურებულია

რუსთავი. (საკ. კორ.). სახელდახელო კრებაზე, რომელიც სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში შედგა, მრავალმა მეტალურგმა მოიყარა თავი. ისინი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენს, რომლითაც ხალხის დაუძინებელ მტერს ბერიას და მის თანამზრახველებს დახვრეტა მიესაჯათ.

სიტყვა პირველმა წარმოთქვა მეფოლადე ზ. კვახაძემ. მან განაცხადა:

— როცა საბჭოთა ხალხმა გაიგო გადაგვარებული ბერიას და მისი დამქაშების საზიზღარი მოღალატური საქმიანობა, ყოველი მხრიდან გაისმა მრისხანე ხმა: სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს! სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ შეასრულა მილიონობით მშრომელთა ეს მოთხოვნა. ჯაშუშებსა და მკვლელებს, რომლებმაც დაკარგეს ადამიანური სახე, ღირსეული სასჯელი მიეზღოთ — შეთქმულთა ბანდა განადგურებულია. ასე დაემართება ყველა გარეწარს, ვინც შეეცდება ძირი გამოუთხაროს ჩვენი სამშობლოს ძლიერებას.

— გარეწარ ბერიასა და მისი ბანდის საქმეზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, — თქვა ცეცხლგამძლე აგურის დამწყობმა ა. ჩაჩანიძემ, — მთელი საბჭოთა ხალხის განაჩენია. კაცობრიობის ამ უბოროტესი მტრების დროზე მხილებასა და განადგურებას ჩვენ, მეტალურგები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ვუპასუხებთ პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლებით.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მარტენის საამქროს უფროსი ს. შარაძენიძე, მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე ვ. მიტასოვი, ოსტატი ბაღდასაროვი და სხვები.

კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც ერთხმად იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენს.



თბილისის გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებაზე. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენს კითხულობს პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. დ. გელაშვილი.

ფოტო შ. გოქაძისა.

ნამსახურობისათვის

რუსთავი. (საკ. კორ.). მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობის შედეგად დღითიდღე იზრდება ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქის — რუსთავის მეტალურგების შრომითი შემოსავალი. ამ დღეებში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა ნამსახურობისათვის 3,5 მილიონ მანეთზე მეტი მიიღეს.

მარტენის საამქროს მეფოლადემ ვ. ბულგაკოვმა მიიღო 3.700 მანეთი, მეფოლადე შ. კუხალეიშვილმა — 2.500 მანეთი. ნამსახურობისათვის დიდი თანხები მიიღეს აგრეთვე მეფოლადეებმა შ. ბაინდურაშვილმა, ი. ტაბატაძემ, ნ. ორლოვმა, უფროსმა მვალცვამ ე. მეტრეველმა, ამწეს მემანქანემ ა. ჩაგანავამ, შემდღეებელმა ი. განკაძემ, ელექტრიკოსმა გ. იმერლიშვილმა და სხვებმა.

მაღალი მოსავლის ოსტატები

ჩოხატაური. (საკ. კორ.). წელს სიმინდის დიდი მოსავალი მიიღო დაბლაციხის კოლმეურნეობამ. 120 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანეს 35 ცენტნერი სიმინდი ნაცელად გეგმით გათვალისწინებული 22 ცენტნერისა. სერგო ჯინჭარაძის ბრიგადას 28 ჰექტარი სიმინდი ეთესა და ჰექტარზე საშუალოდ 36 ცენტნერი სიმინდი მოტეხა. ასევე მაღალი მოსავალი მიიღეს ალექსანდრე ოსეფაშვილას ბრიგადამ და თეოფილე ხაბეიშვილის რგოლმა. კოლმეურნე გიორგი სიხარულიძემ მოსავლად მიჩენილ ერთ ჰექტარ ნათესზე 50 ცენტნერი სიმინდი მიიღო. ასეთივე წარმატება მოიპოვა კოლმეურნე ბესარიონ ხაბეიშვილმა.

მაღალი მოსავლის მიღების შედეგად კოლმეურნეობამ შრომადღეზე ავანსად გასცა 6 კილოგრამი სიმინდი.

დეპუტატები ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნავენ

ამბროლაური. (საკ. კორ.). სოფელ კვაცხუთში არ იყო სასმელი წყალი, მოსახლეობას 2-3 კილომეტრზე უხდებოდა წყლისთვის სიარული. კოლმეურნეობის მერგოლურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ დარია ბიჭაშვილის ინიციატივით სასოფლო საბჭოს სესიაზე გულდასმით განხილულ იქნა სოფლის საჭირბოროტო საკითხები, მათ შორის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი. ბიჭაშვილის წინადადებას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ადგილობრივი საბჭოს დეპუტატები ი. საგანელიძე, ა. სხირტლაძე, ნ. აბაიშვილი.

სესიის დადგენილება განხორციელდა. სოფელმა საკუთარი საშუალებით 3 კილომეტრის სიშორიდან 12 ოჯახში, საკოლმეურნეო მარანში, მეცხოველეობის ფერმებში და სხვა საზოგადოებრივ ნაგებობებთან გამოიყვანა ანკარა წყაროს წყალი. ბევრმა კოლმეურნემ წყალი სახლებში გაიყვანა.

სასოფლო-სამეურნეო ავიაცია

წელს შესრულდა 20 წელი, რაც საქართველოში სამოქალაქო ავიაციას იყენებენ სოფლის მეურნეობაში.

წლითიწლობით სულ უფრო ფართოვდება სასოფლო-სამეურნეო ავიაციის საქმიანობის ასპარეზი, დიდდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მის მიერ შესრულებულ სამუშაოთა სახეები. ომამდე საქართველოს სოფლის მეურნეობაში ავიაციას იყენებდნენ ძირითადად მარცვლეული კულტურების მავნებლებთან საბრძოლველად. ამჟამად ავიაციას იყენებენ ვენახების, ხეხილის ბაღების, დეკორაციული ნარგავების, ტყის მასივების დასამუშავებლად, ნათესებში მინერალური სასუქების შესატანად და სხვ. მარტო გასულ წელს ავიაციის საშუალებით დამუშავდა 92 ათასი ჰექტარი ნარგავები, შეტანილ იქნა 4.594 ტონა სხვადასხვა ქიმიკატები და სასუქები.

უკანასკნელ ორ წელიწადში თვითმფრინავების საშუალებით ხორციელდება 8 სხვადასხვა სახის ღონისძიება. მარცვლეული კულტურების ნათესებში ავიაციის დახმარებით სარეველებთან ბრძოლა იძლევა შესანიშნავ შედეგებს და ბევრ კოლმეურნესა და საბჭოთა მეურნეობის მუშას ათავისუფლებს დიდ მასივებზე ხელით მარგვლისაგან.

სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა რაც შეიძლება ფართოდ უნდა გამოიყენონ ავიაცია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამსვლელი სამეცნიერო სესია

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა ზუგდიდის რაიონში მოაწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისადმი.

სესიის დესწრნენ რაიონის პარტიული, საბჭოთა, სოფლის მეურნეობის მუშაკები, მეჩაიე კოლმეურნეები და მერგოლურები, მექანიზატორები და სხვ.

სესიამ მოისმინა მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის ლექტორ ე. ბურჯანაძის, ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგის დოცენტ ა. მოწურელიას, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების კათედრის გამგის დოცენტ თ. კეშელავას, სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის კათედრის დოცენტ ი. კაკულიძის, ანასეულის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის მეცნიერი მუშაკის ნ. დგებუაძის მოხსენებები.

სამეცნიერო სესია, რომელსაც 600 კაცი დესწრო, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსა და რაიონის კოლმეურნეებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ორდენებისა და მედლების გადაცემა რკინიგზელებისათვის

ხაშური. (საკ. კორ.). რკინიგზის კულტურის სახლში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. თ. ქვლივიძემ ორდენები და მედლები გადასცა ხაშურისა და ბორჯომის რკინიგზელთა დიდ ჯგუფს, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან რკინიგზაზე ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის.

ლენინის ორდენი გადაეცა 49 რკინიგზელს, შრომის წითელი დროშის ორდენი — 70-ს, მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ — 46-ს, მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ — 51-ს.

ამხ. თ. ქვლივიძემ ლენინის ორდენი გადასცა ხაშურის საელმავლო დეპოს — წარჩინებულ მემანქანეს გ. კეველაშვილს, აწევითი საამქროს ოსტატს გ. გამგონიძეს, მეისრე ზ. აბრამაშვილს, საორთქლმავლო დეპოს ორთქლმავლის მემანქანეებს ა. დეკანოიძეს და ვ. გუდაძეს, საამქროს ბრიგადირ ი. ოშხინელს; ხაჯგორნო დეპოს სტანციურ-საამქროს ბრიგადირ გ. აბიაშვილს; ბორჯომის სალიანდაგო დისტანციის პირველი საოსტატო ლიანდაგის ბრიგადირ ვ. ლურსმანაშვილს და სხვ.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს ბორჯომ-ბაღის სადგურის უფროსმა ნინო გურგენიძემ და ხაშურის მოძრაობის დისპეტჩერმა ი. ყიფიანმა. მათ მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას რკინიგზელებზე მზრუნველობისათვის და პირობა დადეს კვლავაც თავდადებულად იმუშაონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დასასრულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. თ. ქვლივიძემ დამსწრეთ მიულოცა მაღალი ჯილდოები და უსურვა შემდგომი ნაყოფიერი მუშაობა სატრანსპორტო მეურნეობის განვითარებისა და ტვირთზიდვის გეგმების შესრულების საქმეში.

პირუტყვის გამოზამთრება

კვლავ ძველებურად, უპასუხისმგებლოდ

მეცხოველეობას ბოლნისის რაიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მაგრამ მთელი რიგი კოლმეურნეობები წლითიწლობით ვერ ასრულებენ სულადობისა და პროდუქტიულობის დაწესებულ გეგმებს. მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება მოწმობს, რომ რაიონში მეცხოველეობა შეიძლება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე დარგი გახდეს. მაგალითად, დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა მიმდინარე წელს ათი თვის მანძილზე თვითეულ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ 1.200 ლიტრი რძე მიიღეს, მაშინ როცა რაიონში წველადობის საშუალო მაჩვენებელი 400-500 ლიტრს არ აღემატება.

დადგა მეცხოველეობაში ყველაზე პასუხსაგები პერიოდი — პირუტყვის გამოზამთრების პერიოდი, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული ამ დარგში შემდგომ წარმატებათა ბედი. რაიონის ბევრ კოლმეურნეობას ახსოვს წარსული გამოზამთრების მკაცრი გაკვეთილი, როცა კვების გაუარესებისა და ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად იშვიათი როდი იყო ნამატისა და მოზარდი პირუტყვის სიკვდილიანობის შემთხვევები, დაბალი იყო პროდუქტიულობა.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის საგანგებოდ მოემზადა წითელსოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. კუხალეიშვილი). აქ დროულად შეაკეთეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ორი სადგომი, ააშენეს ახალი სახბორე და ტიპური საღორე, მოაწყეს უხეში საკვების დასაორთქლებელი მოწყობილობა და სხვ.

ამჟამად კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 128 სული ძროხა, თბილ და ნათელ სადგომებშია მოთავსებული, უზრუნველყოფილია საჭირო საკვებით, ფერმა დაკომპლექტებულია სათანადო კადრებით, რომლებსაც ნორმალური საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობები აქვთ შექმნილი.

ყოველმხრივ მომზადებულნი შეხვდნენ გამოზამთრებას სოფელ სარაჩლოს ვოროშილოვის სახელობის, ქვეშის სტალინის სახელობის, ტანძიის ორჯონიკიძის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები. მაგრამ მიუხედავად ამისა რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში სერიოზული ნაკლოვანებანია. სოფელ ტაშტიკულარის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. ჰუსეინოვი) გააქიანურეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგომის რემონტი, რის გამო შეფერხდა პირუტყვის ბაგურ კვებაზე გადაყვანა. ცხენები ცისქვეშ არიან დატოვებული, რადგან მათთვის სათანადო ბინა არა აქვთ. აქ დღემდე ვერ შეძლეს გამოზამთრების ადგილამდე მიეტანათ საკვების არსებული მარაგიც. ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „პობედაში“ (თავმჯდომარე ბ. მახმუდოვი). აქ არც არსებული ბინების შეკეთებისათვის ეზრუნვიათ, არც ახალი სადგომების აშენებისათვის. სადგომში, რომელიც 255 სული პირუტყვისათვის არის გათვალისწინებული, მოთავსებულია 320 სული პირუტყვი, რომელიც დაუბმელია და ფეხით თელავს საკვების ისედაც შეზღუდულ მარაგს.

საკვების განაოვების ფაქტებს ვხვდებით სოფელ ბოლნისის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნაში“ (თავმჯდომარე ა. ვოსკანიანი).

საკვები ბაზის განმტკიცებისათვის ზრუნვა არ იგრძნობა დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელმაც მინდვრად აუღებელი დატოვა უხეში საკვების ერთი ნაწილი. რაიონის ზოგიერთმა კოლმეურნეობებმა აქამდე გააქიანურეს საკვები ძირნაყოფების ამოღება. ამ ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია უპასუხისმგებლობა დამოკიდებულება პირუტყვის გამოზამთრებისადმი, არასისტემატური ზრუნვა საკვები ბაზის განმტკიცებისადმი.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის განსაკუთრებული როლი ეკისრებათ მტს-ებს, მაგრამ ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის მექანიზატორები კვლავ ძველებურად მუშაობენ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თამარისის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის (დირექტორი ამხ. ა. ურუშაძე) კოლექტივი ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, რომ ნორმალურად მოეწყოს პირუტყვის გამოზამთრება.

პარტიის ბოლნისის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა ქმედითი ზომები უნდა მიიღონ პირუტყვის გამოზამთრების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის.

რ. დავითური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გაზეთების ფურცლებზე

ლაპარაკობენ მტს-ში სამუშაოდ წასული სპეციალისტები

პარტიის მოწოდების პასუხად მტს-ებში სამუშაოდ წასული სპეციალისტების მიერ გაწეული მუშაობის პროპაგანდა, მათს წინადადებებსა და შენიშვნებზე ფართო გამოხმაურება ადგილობრივი გაზეთების უმნიშვნელოვანესი საქმეა. მცხეთის რაიონულმა გაზეთმა **„კომუნიზმის გზით“** სპეციალური გვერდი დაუთმო მცხეთის მტს-ში სამუშაოდ წასულ სპეციალისტთა ნაამბობს. მტს-ის მუშაკები გაზეთის ფურცლებზე მოგვითხრობენ მათ მიერ გადადგმულ პირველ ნაბიჯებზე, ამასთან ამხილებენ მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რაც მცხეთის მტს-ს აქვს.

მტს-ის მუშაობის ნაკლოვანებებზე საგულისხმო ფაქტებია მოყვანილი უფროსი მექანიკოსის ი. გარაყანიძის წერილში. იგი წერს, რომ მტს-ის მექანიკურ სახელოსნოში ჯერ კიდევ ყველაფერი როდია რიგზე. სახელოსნოს არ გააჩნია მარტივი ამწე მექანიზმებიც კი, აგრეთვე ხელსაწყოები ტრაქტორების რემონტის ნორმალურად ჩატარებისათვის და ძრავების ცივად დასამუშავებელი სტენდი. გარდა ამისა, მტს-ს არა აქვს ავტომანქანებს გარაჟი, კომბაინების როგორც სარემონტო, ისე შესანახი ფარდულები, ხოლო ტრაქტორების სარემონტო ფარდულები არაწესიერ მდგომარეობაშია. თვით მტს-ის მექანიკურ სახელოსნოს შეკეთება სჭირდება.

წერილში „პირველი ნაბიჯები და ახალი ამოცანები“ მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსი თ. მაქელავი მოგვითხრობს მის მიერ მტს-ში სამუშაოდ მისვლის შემდეგ გაწეული მუშაობის შესახებ. მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური-მუშაობის უკეთ მოწყობისა და მექანიზატორთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხზე წერს გაზეთში პარტბიუროს მდივანი ს. თოხვაძე.

კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების კვალიფიკაციური კადრებით განმტკიცებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ადგილობრივი გაზეთების ვალია ფართოდ გვიჩვენონ, თუ როგორ მიმდინარეობს ადგილებზე ინჟინრების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების შერჩევა მტს-ებისა და კოლმეურნეობებისათვის, რა სიახლე შეაქვთ მტს-ებისა და კოლმეურნეობების საქმიანობაში სოფლად სამუშაოდ წასულ სპეციალისტებს.

ესტონური ლიტერატურის უძველესი

⊙

ფ. რ. კრეიცვალდის დაბადების 150 წლისთავი

⊙

150 წელი შესრულდა ესტონური დემოკრატიული ლიტერატურის ფუძემდებლის, ხალხური შემოქმედების გამოჩენილი მკვლევარისა და პროგრესული საზოგადო მოღვაწის ფრიდრიხ რეინგოლდ კრეიცვალდის დაბადებიდან.

კრეიცვალდი (1803-1882), ყმა მეჩექმის შვილი, ესტონელი ხალხისათვის მძიმე დროს ცხოვრობდა და შრომობდა. იმ პერიოდში ბალტიისპირეთის გერმანელი მემამულეები, რომლებსაც მხარს უჭერდა მეფის მთავრობა და რომელთა ხელში იყო მთელი პოლიტიკური ძალაუფლება, სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ გლეხებს.

მწერალმა ჭაბუკობაშივე შეიცნო თავისი ხალხის გაჭირვებული უუფლებო მდგომარეობა. მან მძაფრად შეიძულა ბატონყმური წყობილება, მისი დასაყრდენი ესტონეთში — მემამულენი და ეკლესია. მაგრამ კრეიცვალდი ვერ ამაღლდა რუს რევოლუციურ დემოკრატთა დონემდე. იგი ვერ მივიდა ძველი წესწყობილების რევოლუციური გზით დამხობის საჭიროების შეგნებამდე. მას მიაჩნდა, რომ ბატონყმობა ხალხის წერა-კითხვის უცოდინარობას ემყარებოდა და ამიტომ მთელი თავისი მოღვაწეობა უწინარეს ყოვლისა განათლებისაკენ წარმართა.

ძნელი გზა განვლო კრეიცვალდმა ცოდნის შესაძენად. დიდი გაჭირვებით მიიღო მასწავლებლის სპეციალობა და წელიწადნახევარს მუშაობდა ამ სპეციალობაზე პეტერბურგში. 1826 წელს იგი ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა. 1833 წელს კრეიცვალდმა უნივერსიტეტი დამთავრა და გადავიდა ქალაქ ვირუში, სადაც შემდეგ 44 წელიწადს მუშაობდა ექიმად. გარდაიცვალა ტარტუში 1882 წელს.

კრეიცვალდის ძირითადი ნაწარმოები და ესტონური ლიტერატურის პირველი თვალსაჩინო ეპიკური ნაწარმოები, რომელმაც ეს ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის რიგებში გამოიყვანა, იყო ესტონური ხალხური ეპოსი „კალევიპოეგი“ — ზეპირ თქმულებათა, სიმღერათა მრავალი წლის განმავლობაში შეკრებისა და მათი შემოქმედებითი დამუშავების შედეგი. „კალევიპოეგში“ განსახიერება ჰპოვა ესტონელი ხალხის ხასიათმა და სულისკვეთებამ, მისმა ისტორიულმა ბედმა, მრავალსაუკუნოვანმა ბრძოლამ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. მასში აისახა არა მარტო ესტების საზოგადოებრივი ცხოვრება შორეულ წარსულში, არამედ ესტონელი ხალხის საუკუნეობრივი მისწრაფებები და იმედებიც.

თვით კალევიპოეგი სახალხო გმირია. იგი დაჯილდოებულია მშრომელისა და მებრძოლის საუკეთესო თვისებებით — შრომისმოყვარეობითა და გამბედაობით, სიბრძნითა და სამართლიანობით. იგი გაბედულად იბრძვის ყველა ჯურის შავბნელი ძალების წინააღმდეგ. კრეიცვალდის ნაწარმოები გამსჭვალულია დემოკრატიზმის სულისკვეთებით, ბატონყმობისადმი სიძულვილის სულისკვეთებით. მასში გამოხატულია ადამიანთა მისწრაფება სამყაროს შეცნობისაკენ, დედამიწაზე უკეთესი ცხოვრების შექმნისაკენ. მასში ნაჩვენებია ისტორიული კავშირი ესტონელ ხალხსა და რუს ხალხს შორის. ეპოსმა „კალევიპოეგმა“ უდიდესი გავლენა მოახდინა ესტონეთში საზოგადოებრივი აზრის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე.

ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ რეაქციონერები მკაცრი კრიტიკით შეხვდნენ ამ პროგრესულ ნაწარმოებს, ან ცდილობდნენ დუმილით აევლოთ მისთვის გვერდი. ამავე დროს „კალევიპოეგმა“ დემოკრატიული კულტურის წარმომადგენელთა აღტაცება გამოიწვია. ამ ნაწარმოების პირველი გამოცემა (1862 წ.) მალე მთლად გაიყიდა. მას შემდეგ „კალევიპოეგმა“ მსოფლიო პოპულარობა მოიპოვა: იგი გამოიცა რუსულ, გერმანულ, ლატვიურ და უნგრულ ენებზე. მისი ნაწყვეტები ითარგმნა უკრაინულ, ფინურ, ფრანგულ, იტალიურ და სხვა ენებზე.

კრეიცვალდის მოღვაწეობა სრულებითაც არ შემოზღუდულა ხალხური შემოქმედების შეკრებით. პერიოდულ გამოცემებში, რომლებიც მაშინ ესტონურ ენაზე იშვიათად გამოდიოდა, მან პირველმა დაიწყო ფოლკლორული მასალის ბეჭდვა. 1855 წელს „საგლეხო სასარგებლო კალენდარში“, რომელსაც იგი თითქმის 30 წელიწადს რედაქტორობდა, გამოვიდა მოთხრობა „ბინდი“, სადაც კრეიცვალდმა გამოიყენა ხალხური თქმულებანი განძთა შესახებ. იმავე წელს დაიბეჭდა სტატია „როგორ იტყუებენ თავს ადამიანები“. ამ სტატიაში მწერალმა გაილაშქრა მავნე ცრურწმენათა წინააღმდეგ, განსაკუთრებით აკრიტიკებდა ექიმბაშებს, რომლებიც ავადმყოფებს შელოცვით „მკურნალობდნენ“.

1866 წელს, მიუხედავად დაბრკოლებებისა, რომლებსაც მეფის ცენზურა უქმნიდა, კრეიცვალდმა მოახერხა გამოეცა დიდი კრებული „ძველი ესტონური ხალხური ზღაპრები“, რომელიც შეიცავდა 43 ზღაპარს და 18 ლეგენდას. ამ კრებულმა, რომლის მახვილი მიმართული იყო მემამულეებისა და ეკლესიის წინააღმდეგ, მალე მოიპოვა პოპულარობა. „კალევიპოეგისა“ და „ზღაპრების“ გამოქვეყნება ესტონური ეროვნული ლიტერატურის დასაწყისს მოასწავებდა.

თავის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში ფ. რ. კრეიცვალდი ილაშქრებდა ბატონყმობის წინააღმდეგ, ესტონური რეაქციული კლერიკალური კულტურის წინააღმდეგ, გერმანელ ბარონთა ერთგული მსახურების — პასტორების წინააღმდეგ.

განმანათლებელი დემოკრატი კრეიცვალდი დაუღალავად იბრძოდა სახალხო განათლების დაყენების გაუმჯობესებისათვის. იგი წერდა სხვადასხვა მეცნიერულ-პოპულარულ ნაწარმოებს, რომლებშიც სადა, ხალხისათვის გასაგები ენით ლაპარაკობდა სამყაროს აგებულებაზე, ქვეყნიერების მხარეებზე, მთელი დედამიწის ცხოველებსა და მცენარეებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ აღმოჩენებზე.

თავის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მწერალი ხაზგასმით აღნიშნავდა ესტონელი ხალხისა და რუსი ხალხის ისტორიული მეგობრობის უდიდეს მნიშვნელობას, რადგან მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ესტონელი ხალხი მხოლოდ ასეთი თანამეგობრობით შეძლებდა ბედნიერების მოპოვებას.

კრეიცვალდი თანმიმდევრულად იცავდა რუსეთ-ესტონეთის კულტურული ურთიერთობის განმტკიცების იდეას. წერილში გასული საუკუნის ცნობილი ესტონელი განმანათლებლის კ. რ. იაკობსონისადმი იგი წერდა: „თქვენ, ისევე როგორც მე, კარგად მოგეხსენებათ, რომ რაც უფრო ძლიერ გამოიჩენს ჩვენი ხალხი ნამდვილ სიყვარულს რუსეთისადმი, მით უფრო ნაკლებ ზიანს მოგვაყენებენ ფოსტის დუდუკები და მათი დამკვრელნი“. ფოსტის დუდუკებად და მათ დამკვრელებად ავტორი გულისხმობდა რეაქციულ გაზეთს „ეესტი პოსტიმეესს“ („ესტონელი ფოსტალიონი“) და მის რედაქტორს ი. იანსენს. მწერალი მხურვალედ უჭერდა მხარს ხალხის მისწრაფებას — შექმნილიყო სკოლები, სადაც სწავლება რუსულ ენაზე იქნებოდა. იგი ამბობდა: „რუსული ენა ჩვენს შვილებს ისე ესაჭიროებათ, როგორც პური არსებისა“.

მას შემდეგ, რაც ესტონელმა ხალხმა დაამხო მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება, კრეიცვალდის შემოქმედებითმა მემკვიდრეობამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მისი ნაწარმოებები ახლა მასობრივი ტირაჟებით გამოდის. ამ ნაწარმოებთა სტიყვებზე მუსიკას წერენ კომპოზიტორები, მათ ასრულებენ კონცერტებზე და ლიტერატურულ საღამოებზე.

ესტონელი ხალხი ზეიმით აღნიშნავს კრეიცვალდის დაბადების 150 წლისთავს. პირველად გამოდის მწერლის თხზულებათა სრული კრებული. ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა მოამზადა კრებული სამეცნიერო-კვლევითი სტატიებისა მისი შემოქმედების შესახებ. მზადდება მთელი მისი უდიდესი მიწერმოწერის ფუნდამენტური გამოცემა.

საბჭოთა ესტონეთის მშრომელები სათუთად ინახავენ თავიანთი გამოჩენილი თანამემამულის ხსოვნას. მას სიყვარულით უწოდებენ „სიმღერის მამას“. რესპუბლიკის გამოჩენილმა კომპოზიტორებმა მთელი რიგი სიმღერები დაწერეს კრეიცვალდის ნაწარმოებთა სიტყვებზე. რესპუბლიკის წამყვანი თეატრი „ესტონია“ დგამს ბალეტ „კალევიპოეგს“, რომლის მუსიკა შექმნა სტალინური პრემიის ლაურეატმა ე. კაპმა.

კრეიცვალდის დაბადების 150 წლისთავი დიდი დღესასწაულია ესტონური საბჭოთა კულტურისა, რომელიც სწრაფად აყვავდა მოძმე საბჭოთა ხალხების ურღვევ ოჯახში.

ე. ნირკი,

ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

ჩინური გაზეთები გვიგვეთსაუბრობენ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რკინიგზების დიდი მშენებლობაა. ახალი მაგისტრალები უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრებს შეაერთებენ ჩინეთის შორეულ რაიონებთან, რომლებიც საწარმოებს ნედლეულით ამარაგებენ. ამჟამად მთავრდება ტიანშუი-ჩენდუს რკინიგზის სამხრეთი უბნის სამშენებლო სამუშაოები.

ეს გზა ერთმანეთთან აერთებს განსუსა და სიჩუანის პროვინციებს. გზის ამ უბნის სიგრძე 450 კილომეტრია. სურათზე: ხიდის მშენებლობა ტიანშუი-ჩენდუს გზის უბანზე.

სინხუას საგენტოს ფოტო.

ტრანსპორტი ახალ ჩინეთში

პეკინი. როგორც გაზეთი „შენიანჟიბაო“ იუწყება, უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ჩინეთში გაყვანილ იქნა 1.470 კილომეტრზე მეტი ახალი რკინიგზის მაგისტრალები. ახლა ჩინეთის რკინიგზის ქსელის საერთო სიგრძე 24.230 კილომეტრს აღემატება. ამჟამად შენდება 600-ზე მეტი კილომეტრი საერთო სიგრძის რამდენიმე ახალი რკინიგზის ხაზი.

ჩინეთში სულ უფრო დიდი გაქანება ეძლევა გზატკეცილების მშენებლობას. წელს შენდება 28 გზატკეცილი. ამჟამად სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ტრასზე, რომელიც 5 ათას კილომეტრს აღემატება.

დიდი მუშაობა წარმოებს სამდინარო და საზღვაო ნაოსნობის გაუმჯობესების მიზნით. იწმინდება მდინარეების კალაპტი, ეწყობა მდინარეების იანძის, ჩუანძიანის, დალიანხესა და სხვების ფარვატერების შუქსიგნალიზაცია. ჩინეთის საზღვაო სანაპიროზე შენდება სინგანის ნავსადგური ტიანძინის მახლობლად და ხუანგუს ნავსადგური სამხრეთ ჩინეთში.

ჩინელი ხალხის ცხოვრებაში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო საჰაერო ფლოტი. ჩინეთის დედაქალაქი პეკინი ჩინეთის უდიდეს ქალაქებთან დაკავშირებულია საავიაციო ხაზების ქსელით.

კოოპერაცია ჩინეთის სოფელში

პეკინი. სახელმწიფოს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელება ჩინეთის სოფელში, მხარს უჭერენ და იწონებენ სოფლის მეურნეობის მშრომელთა ფართო მასები. ჩინელი გლეხები ხედავენ, თუ რა უპირატესობანი მოაქვს მათთვის კოლექტიურ შრომას და აწყობენ შრომითი ურთიერთდახმარების ჯგუფებს, ერთიანდებიან საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებად.

როგორც გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ იუწყება, ამჟამად ჩინეთში არის 14 ათასზე მეტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი. ყველაზე მეტი კოოპერატივია ჩრდილო-აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ჩინეთში. თითქმის ყველა კოოპერატივმა წელს თავის მინდვრებზე მარცვლეული და ტექნიკური კულტურების შარშანდელზე მეტი მოსავალი აიღო. გადიდდა კოოპერატივების წევრ გლეხთა შრომითი შემოსავალი. უხვი მოსავალი და დიდი შემოსავალი მიიღეს აგრეთვე იმ კოოპერატივების გლეხებმა, რომლებიც მხოლოდ მიმდინარე წელს მოეწყო. მაგალითად, ცენტრალურ-სამხრეთ ჩინეთში ახლად შექმნილი კოოპერატივების წევრ გლეხთა შრომითი შემოსავალი მნიშვნელოვნად აღემატება შემოსავალს, რომელსაც ისინი კოოპერატივების შექმნამდე იღებდნენ.

თევზჭერის განვითარება

პეკინი. ჩინეთის სამხრეთი სანაპირო თევზჭერის ერთ-ერთი უმთავრესი რაიონია. როგორც გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ იუწყება, ამჟამდე აქ ყოველწლიურად იჭერდნენ 410 ათას ტონამდე თევზს. მაგრამ იაპონიის წინააღმდეგ ომისა და გომინდანელთა ბატონობის წლებში თევზჭერას სამხრეთ ჩინეთში სერიოზული ზარალი მიაყენეს, რის შედეგადაც თევზის ჭერა 1949 წელს 2-3-ჯერ შემცირდა. განთავისუფლების შემდეგ სახალხო ხელისუფლებამ მიიღეს თევზჭერის აღდგენისა და განვითარების ღონისძიებანი. როგორც გაზეთი აღნიშნავს, მარტო მიმდინარე წელს სახალხო მეავრობამ თევზჭერის განვითარების მიზნით 48 მილიარდი იუანი გაიღო. თევზჭერის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა მეოხებით ამ უკანასკნელ ხანს თევზის ჭერა განუხრელად მატულობს. წელს მარტო გუანდუნის პროვინციაში დაჭერილია 230 ათას ტონაზე მეტი თევზი.

გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ იუწყება, რომ დეკემბრის დამდეგს კანტონში გაიმართა კონფერენცია სამხრეთ ჩინეთში თევზჭერის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

ამჟამად, როგორც ვაზეთი აღნიშნავს, სამხრეთ ჩინეთში არის მეთევზეთა შრომითი ურთიერთდამხმარე 477 ჯგუფი, ეწყობა თევზჭერის პირველი შრომითი კოოპერატივები. მეთევზეთა დასახმარებლად სახელმწიფო სანაპიროზე ქმნის თევზის შემსყიდველი პუნქტების ფართო ქსელს და უზრუნველყოფს მეთევზეებს საჭირო ხელსაწყოთი და მასალებით, აგრეთვე ხელს უწყობს მომმარაგებელ-გამსაღებელი კოოპერაციის განვითარებას.

ხუნანის პროვინციის სიან ტანის მაზრის სოფელი შაო შან-ჩუნი, სადაც დაიბადა ამხანაგი მაო ძე-დუნი.

რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში

⊙ **ქედის რაიონის მაღალმთიანი სოფელ ახოს** სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბიბლიოთეკაში 1.500 წიგნია. განუწყვეტლივ იზრდება კოლმეურნე მკითხველთა რიცხვი. ამჟამად ბიბლიოთეკას ასზე მეტი აქტიური მკითხველი ჰყავს.

⊙ **ლამაზ და ნათელ სახლებშია მოთავსებული ფოთის** სამი საქალაქო და ერთი საბავშვო ბიბლიოთეკა. მათი დარბაზები ყოველთვის სავსეა მკითხველებით. აქ მკითხველთა რიცხვი 7 ათასს აღწევს. განსაკუთრებით გაიზარდა ბიბლიოთეკების წიგნის ფონდი, რომელიც წელს 10 ათას ცალამდე ახალი წიგნით შეივსო.

⊙ **ახალციხის საქალაქო ბიბლიოთეკას შარშან** 1.200 მუდმივი მკითხველი ჰყავდა. მიმდინარე წელს მკითხველთა რაოდენობა 1.500-მდე გაიზარდა. ამავე დროს წიგნთა ბრუნვა გადიდდა 6.000 ცალით. წელს ბიბლიოთეკას 1.230 წიგნი შეემატა.

⊙ **ზესტაფონში ჯორჯიაშვილის ქუჩაზე გაიხსნა ახალი ბიბლიოთეკა,** რომელიც მომსახურებას გაუწევს ქალაქის განაპირა უბნის მოსახლეობას. ბიბლიოთეკა მოთავსებულია კეთილმოწყობილ ბინაში.

მხატვრული კერამიკის გამოფენა

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიხსნა ახალი განყოფილება — „XVII-XIX საუკუნის მხატვრული კერამიკა“.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია ბროლის, ფაიფურის, თიხისა და სხვა მასალისაგან დამზადებული 160-მდე ძვირფასი ექსპონატი. გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი რუსული ფაიფური.

გ. მაისურაძე.

ნათელი ჰორიზონტები

⊙

წერილი რუმინეთიდან

ბოიარინული რუმინეთის არქივებში დაცულია დოკუმენტები, რომელთა თვითეული სტრიქონიდან მოისმის გულსაკლავი კვნესა ახალგაზრდებისა, რომლებიც ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის მიზეზით ტრაგიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

„ვალებში ვართ ჩაფლული, მევახშეები ტყავს გვაძრობენ. ჩვენმა სასოწარკვეთილებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია. არ ვიცით, შემდეგ როგორ მოვიქცეთ“. „შიმშილით ვკვდებით, შიშვლები, უბედურები ვართ, ჩვენი შვილები ფეხშიშველი არიან, ერთი გროში არ მოგვეპოვება“ — ეს ნაწყვეტები ამოღებულია ხუნედოარისა და ტუტოვის მაზრის სოფლების მასწავლებელთა წერილებიდან. მათ ხელფასი არ მიუღიათ 1932 წლის მთელი ზამთრის განმავლობაში.

ტრაგიკული და უიმედო წარმოუდგებოდათ მომავალი იმ ბედნიერებსაც, რომლებიც ახერხებდნენ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლას. 1936 წელს გაზეთ „უნივერსულში“ გამოქვეყნებული იყო ორი სტუდენტის დამახასიათებელი წერილი:

„ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი სტუდენტები, ერთ ლეიდ ვყიდით ქვემოთმოყვანილ ლექსს, რათა შესაძლებლობა გვქონდეს დავამთავროთ უნივერსიტეტის კურსი, თუმცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც იქნებ არ მოგვეღის სხვა რამე, გარდა პოლიციელის ან რკინიგზის კონდუქტორის თანამდებობისა, როგორც ეს ბევრ ჩვენს კოლეგას შეემთხვა“.

„ინტელექტუალური უმუშევრობა“, ხმაური ბურჟუაზიულ პრესაში თეორიული განათლების დემპინგის შესახებ, ტუბერკულოზი — აი რა ხვდებოდა უნივერსიტეტიდან გამოსვლისას და ცხოვრებაში მიაცილებდა ჭაბუკსა და ქალიშვილს, ამ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „შავკოსტიუმიან მათხოვრებს“ დიპლომით, რომელიც უზრუნველყოფდა მხოლოდ ერთ უფლებას — შიმშილით ნაადრევად სიკვდილის უფლებას.

ყოველივე ეს სრულებით არა ჰგავს რუმინელი ახალგაზრდობის თანამედროვე მდგომარეობას! ახალგაზრდობის შემოქმედებითი ენთუზიაზმი, აზრისა და მოქმედების გაბედულება, მგზნებარე პატრიოტიზმი სრულ გამოსავალს პოულობს დიად საქმეებში სოციალიზმის მშენებლობებზე, რომლებმაც სავსებით შეუცვალეს სახე რუმინეთს.

... „ბიკაზის გასაღები“ — ასე უწოდებენ რუმინეთის კარპატებში ცნობილ კლდოვან ხეობებს, სადაც იშვიათად აღწევს მზის სხივები. ჩასუქებული მეფაბრიკეები, მემამულეები, ბირჟის სპეკულანტები, ავანტიურისტები წარსულში ხშირად დადიოდნენ ამ ადგილებში, განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ თავბრუდამხვევი სიმაღლის ლოდებს და გარინდებულნი უგდებდნენ ყურს წყლის ნაკადის ქუხილს, რომელიც უფსკრულიდან მოისმოდა. უფრო მეტის გასაკეთებლად მათ არც გონება ჰყოფნიდათ, არც გამბედაობა.

ახლა მუშათა პარტიისა და რუმინელი ხალხის ნებით ბიკაზის მთებში შენდება ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროცენტრალი, რომელიც ყველაზე დიდი იქნება რუმინეთში. მშფოთვარე მდინარე, რომლის აქაფებულ ჭორომებში სწრაფად მიდიან მოკლე ტივები, უკვე ემორჩილება კოლექტივის მძლავრ ძალას. ბევრ ადგილას იგი შემოსალტულია რკინაბეტონის ხიდებით, მისი ნაპირები შემოსილია გრანიტითა და ასფალტით. აიმართა ცემენტისა და ავტობეტონის ქარხნების კორპუსები, გაშენდა დაბები თეთრი ლამაზი სახლებით გლეხებისათვის, რომლებიც აქ მომავალი ზღვის ფსკერიდან გადმოსახლდნენ.

აფეთქებათა ხმა არყევს ჰაერს: აფეთქებენ ქანს უზარმაზარ კლდეებში, რომლებსაც მიებჯინება კაშხალის გიგანტური ბეტონის სხეული.

მარცხენა ნაპირიდან მდინარე გადაგდებულია ზღუდარით. მის გადაღმა, მდინარის ფსკერის დონეზე დაბლა, გრიალებენ ექსკავატორები, რომლებიც პლატფორმებს ქანით ტვირთავენ, გამაყრუებლად კივიან ორთქლმავლები, რომლებსაც ხრეშით დატვირთული ეშელონები მოჰყავთ. სატუმბავი სადგურები გაჟონილ წყალს უკანვე მდინარე ბისტრიცაში უშვებენ.

მარჯვენა ნაპირზე კაშხალის მშენებლობის უბნის უფროსად მუშაობს ტანადი ჭაბუკი ფრანჩისკ მაიერი — უტემისტი (მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის წევრი). მზით გარუჯულ სახეზე მას ალერსიანად და ბედნიერად უღიმის დიდი თვალები. ფრანჩისკ მაიერი დიპლომის მქონე „შავკოსტიუმიანი მათხოვარი“ როდია. იგი სამშენებლო უბნის უფროსია, ახალგაზრდა მშენებელთა დიდი კოლექტივის ხელმძღვანელია.

ჯერ კიდევ იასის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის დროს ფრანჩისკი საზაფხულო არდადეგების დროს ნებაყოფლობით მონაწილეობდა სალავაშეთუს ახალგაზრდული რკინიგზის მშენებლობაში. შემდეგ იქ იგი მივიდა როგორც ინჟინერი, აშენებდა 30 მეტრი სიმაღლის რკინაბეტონის საყრდენებს და ზედ ამონტაჟებდა ხიდების ასობით მეტრი სიგრძის რკინის კონსტრუქციებს. როცა გამოცხადდა, ბიკაზში ჰიდროცენტრალი უნდა აიგოსო, ფრანჩისკს ღამეობით არ ეძინა, ოცნებობდა მოხვედრილიყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კაშხალის მშენებლობაზე.

24 წლის რუმინელი ჭაბუკის გაბედული ოცნება ახდა: იგი მოხვდა მშენებლობაზე როგორც მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ფრანჩისკი კარგად არ-თმევს თავს დავალებულ საქმეს. მას ეხმარება ახალგაზრდა ინჟინერი მიხაი პოსტელნიკუ, რომელმაც ინჟინრის დიპლომი სსრ კავშირში მიიღო. კლდის ხუთსავე იარუსზე მისი წინადადებით დანერგილია ციკლურობის გრაფიკი. უსაშიშრობის მიზნით ბრიგადები ჭადრაკული წესით მუშაობენ. უბანზე აგებულია ბეტონის ავტომატური ქარხანა, რომელიც ყველაზე მძლავრია რუმინეთში. იგი დაპროექტებულია საბჭოთა კავშირში და აღჭურვილია უახლესი საბჭოთა ტექნიკით. ამ ქარხნის მომსახურე პერსონალს — 39 კაცს ადვილად შეუძლია შეასრულოს 4 ათასი მუშის სამუშაო.

— მშენებლობაზე ყველაფერი ისე საინტერესოა, რომ არ გინდა შინ წახვიდე! — უნებურად წამოსცდა ფრანჩისკს. მას დაეთანხმა მჭედელი კონსტანტინე გეორგე, რომლის ბრიგადამ ახალგაზრდობისა და სტუდენტობის IV მსოფლიო ფესტივალის პატივსაცემად ვადამდე შეასრულა მოწყობილობის რემონტის წლიური დავალება.

... ბისტრიცას მწვანე ტყიანი მთები აკრავს. მყუდროების ჟამს ისმის ფიჭვების ხმაური, ქარს მშენებლებამდე მოაქვს მწკლარტე, გამაგრილებელი ჯანსაღი ჰაერის ტალღები და მთის გაუთიბავი ბალახებისა და ყვავილების სურნელება. ერთ-ერთ ფერდობზე ჩანს წარწერა: „ახალგაზრდული მშენებლობა“. იქ იწყება გამოსასვლელი იმ გვირაბისა, რომელიც ყველაზე დიდია რუმინეთში. გვირაბი გაჰყავს ახალგაზრდობას, რომელიც გაბედულად ძლევს დიდ ტექნიკურ სიძნელეებს.

გამოველაპარაკეთ ინჟინერს კომუნისტ შტეფან ნიკოლაეს, გვირაბის სამუშაოთა უფროსს. მას მრგვალი ინტელიგენტური სახე, წაწვეტებული ნიკაპი და ძალიან შუბლი აქვს. რქის სათვალე უკეთია. ვინ გამოიცნობს ახლა მასში დურგლის შვილს? ნიკოლაეს მამა ამავე მშენებლობაზე მუშაობს. ბუქარესტის პოლიტექნიკური ინსტიტუტი შტეფანმა მას შემდეგ დაამთავრა, რაც რუმინეთი საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს, და მას აღარ დასჭირვებია ტანჯვა და ფიქრი იმაზე, თუ სად მოწყობილიყო სამუშაოდ. სახალხო ხელისუფლებამ იგი საშურ საქმეზე დააყენა. ბუმბეშტ-ლიკეზენის ახალგაზრდულ მშენებლობაზე მას დაევალა გვირაბების გაყვანა გრანიტის კლდეებში.

ერთ პატარა უბანზე, სადაც კოლოსალური წნევა იყო, მთა ორჯერ ჩამოწვა და სამაგრები დალეწა. ზოგი შეყოყმანდა. ძნელი უბანი ახალგაზრდა ინჟინერს შტეფან ნიკოლაეს გადასცეს. მან გადაწყვიტა ერთდროულად ეწარმოებინა გვირაბის გაყვანაც, ბეტონის ჩასხმისათვის მომზადებაც და საძირკველში ბეტონის ჩასხმაც, რამაც შესაძლებელი გახადა სამუშაოს ტემპის ერთიორად დაჩქარება. გვირაბი ვადაზე 5 დღით ადრე აშენდა. ეს პირველი მკაცრი სკოლა იყო, და მისი ძვირფასი გამოცდილება შემდეგ შტეფანს ბიკაზში გამოადგა. ახალგაზრდა ინჟინერი შრომის ორდენით დაჯილდოებული მოვიდა ახალ მშენებლობაზე. მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ აქ წესრიგი დაამყარეს და კოლექტივს მოწუწუნეები და ურწმუნოები მოაშორეს, ბიკაზში საქმე კარგად წავიდა. მშენებლობაზე ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი მოვიდა. მათ მუშაობაში შეიტანეს მებრძოლური გზნება, მაღლა ასწიეს შეჯიბრების დროშა, გამოიჩინეს გაბედული შემოქმედებითი გამომგონებლობა.

— ფხვიერი ქანები, გრუნტის წყლები, გაზები — ყოველივე ეს ისეთ სიძნელეებს ქმნიდა, რომ თავდაპირველად ზოგიერთ გამოცდილ გვირაბგამყვანსაც ეშვი ეპარებოდა მუშაობის წარმატებაში, — გვიამბობს შტეფან ნიკოლაე. — აქამდე ხომ გვირაბები მთების გვერდითს ნაწილში გაგვყავდა, ეს გვირაბი მთის შუაგულზე გადის. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი გვირაბი ერთ-ერთი უდიდესი ჰიდრავლური გვირაბია. საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის სპეციალისტების დახმარებით ჩვენ გამოვნახეთ რთული ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტა, შევქმენით ბეტონისა და რკინაბეტონის გარეგანი და შინაგანი რკალები, რომლებსაც შეუძლიათ მთის დაწოლასაც გაუძლონ და წყლის წნევასაც.

— იმ დროიდან, — ამბობს შტეფანი, — რაც ბიკაზის მშენებლობა ახალგაზრდულ მშენებლობად გამოცხადდა, გვირაბის გაყვანაზე სამუშაოთა მოცულობა შესასვლელთან ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა და გასასვლელთან — 3,5-ჯერ და უფრო მეტად.

მოედინდან, სადაც მებეტონეები მუშაობენ, ისმება ბორცვებისა და ტყეების, მდინარის, ღრმა ქვაბულის საუცხოო პანორამა. ქვაბულში ექსკავატორები და ქანით დატვირთული თვითსაცლელი ავტომანქანები მუშაობენ. ერთ-ერთ ექსკავატორზე ჭაბუკი მუშაობს.

— ეს მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის წევრი — ანდრია ბერენია, მექექსკავატორეთა ბრიგადირი, — გვითხრა ჰიდროელენტრალის შენობის მშენებლობის უბნის უფროსის მოადგილემ ინჟინერმა ოქტავიან გროზამ.

ანდრია ბერენის გვერდით მუშაობენ მისი მოწაფეები, რომლებსაც მან თვითონ ასწავლა. ისინი ცვლის ნორმას 250 კუბმეტრის გადაჭარბებით ასრულებენ.

როცა ოქტავიან გროზა დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც იგი ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ფაკულტეტზე სწავლობდა, მას წინადადება მისცეს დარჩენილიყო ბუქარესტში, სპეციალურ ინსტიტუტში. დედას განსაკუთრებით ახარებდა ასეთი დანიშვნა. შვილი მუდამ გვერდით, თვალწინ ეყოლებოდა. მაგრამ ოქტავიანმა ითხოვა ბიკაზში გაეგზავნათ. მამამ გადაწყვეტილება მოუწონა.

— მე ტრანსილვანიაში დავიბადე, — იგონებს გროზა, — და ადრევე შემიყვარდა მთის მდინარეები. როცა რუმინეთის ელექტროფიკაციის გეგმა გამოქვეყნდა, მტკიცედ გადავწყვიტე ჰიდროსადგურების მშენებელი ინჟინერი გავმხდარიყავი. საბჭოთა კავშირში პრაქტიკა გავიარე უსტ-კამენოგორსკის ჰესის მშენებლობაზე, სომხეთში სევანის ჰიდროელექტროსადგურზე, რომელიც საინჟინრო ხელოვნების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. ვიყავი კომპლექსურ სამთო ჰიდროსადგურებზე, მონაწილეობას ვიღებდი მოსკოვის ახლოს მცირე საკოლმეურნეო ჰიდროსადგურის მშენებლობაში. რამდენიმე თვეს ჰიდროელსადგურების დაპროექტების პრაქტიკას გავდიოდი მოსკოვისა და თბილისის ჰიდროენერგოპროექტში. სოციალიზმის ქვეყანამ უხვად მომცა მე და აძლევს ბევრ რუმინელ ჭაბუკსა და ქალიშვილს ღრმა, ვრცელ და მრავალმხრივ ცოდნას.

...ცვლა დამთავრდა. ჭაბუკები და ქალიშვილები დროშებთან მწკრივდებიან და სიმღერით მიემართებიან დასასვენებლად. დღის ბოლოს კლუბში შევედით ვ. მაიაკოვსკისადმი მიძღვნილ საღამოზე. ახლად მოწყობილი სცენიდან ახალგაზრდა მშენებელი კითხულობდა მაიაკოვსკის ლექსებს. პოეტრიბუნის მგზნებარე სიტყვები ელვარე მომავლისაკენ, კომუნიზმისაკენ მოუწოდებდნენ.

მკრთალად მოციმციმე ვარსკვლავებს ქვეშ ელვარებდა და ლივლივებდა შუქი მდინარეზე და ბიკაზის ხეობაში. დაუცხრომლად გუგუნებდა შრომითი მუსიკა, ჩქეფდა ახალი ცხოვრება, რომელშიც ფოლადივით იწრთობა რუმინეთის ახალგაზრდობა.

ჯ. მელნიკოვი.

ბიკაზი, რუმინეთი.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამოსვლის გამო

ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი. (საკდესი). გამოხმაურებამ, რაც მთელ მსოფლიოში გამოიწვია საბჭოთა მთავრობის განცხადებამ, და იმ დიდმა ინტერესმა, რაც გამოიჩინეს ყველა ქვეყანაში ამ განცხადებისადმი, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილება, აიძულა ამერიკის პრესა რამდენადმე უკან დაეხია თავდაპირველად დაკავებული პოზიციიდან — საბჭოთა კავშირის წინადადების მიჩქმალვის პოზიციიდან.

ამის მიზეზს, შესაძლოა, ამედავნებს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი რესტონი, რომელიც წერს, რომ „იმ მომენტში, როცა მთელი კაცობრიობა ესწრაფვის მშვიდობას, ვერც ერთი მთავრობა ვერ იტყვის უარს „განიხილოს“ როგორი წინადადებაც უნდა იყოს“. ამასთან რესტონი შენიშნავს, რომ მისი თვალსაზრისით „განხილვა არავითარ შემთხვევაში არ მოასწავებს შეთანხმებას“.

მეორე მხრივ, მიმომხილველი ლოურენსი გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, აღნიშნავს რა, რომ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თავის წინადადებებში, რომლებიც ატომის ენერგიას შეეხება, შეგნებულად აუარა გვერდი ატომური იარაღისადმი კონტროლის საკითხს, ჩივის, რომ „საბჭოთა კავშირმა ხელთ იგდო ინიციატივა“ და კვლავ ჩაყენა შეერთებული შტატები თავდამცველის მდგომარეობაში.

როგორც ამერიკის გაზეთების ზოგიერთი მიმომხილველი წერს, საბჭოთა მთავრობის წინადადება ომის შესახებ, რომ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებმა საზეიმოდ იკისრონ უშენიშვნო ვალდებულება — არ გამოიყენონ ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღი, ახალი წინადადებაა.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ვაშინგტონელი დიპლომატიური მიმომხილველი ჰაიტაუერი შენიშნავს: „დიდი თანამდებობის ოფიციალურმა პირებმა, რომლებიც ჯერ კიდევ გამადიდებელი შუშით სწავლობენ მოსკოვის 21 დეკემბრის წერილს, ჯერ კიდევ ზუსტად უნდა გადაწყვიტონ, თუ როგორ იმოქმედებენ შეერთებული შტატები...

ავტორიტეტიანი პირები ფიქრობენ, რომ ახლა კონკრეტულად უნდა მომზადდეს ორი სერიოზული ღონისძიება:

1) ატომის ენერგიის საერთაშორისო ორგანოს შექმნის გეგმა, რომელიც ეიზენჰაუერმა წამოაყენა თავის სიტყვაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე 8 დეკემბერს, უნდა შემუშავდეს ისეთი ფორმით, რომ შეერთებულ შტატებს შეეძლოთ ზუსტად თქვან, თუ სახელდობრ რა ფუნქციების დაკისრება სურთ მათ ამ ორგანოსათვის, ვინ უნდა უხელმძღვანელოს მას და რა გარანტიები იქნება, რომ მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყოფილი ყოველგვარი ატომური მასალა გამოყენებული არ იქნება ომის მიზნით.

2) უნდა შემუშავდეს პასუხი ამ, ალბათ, სახეშეცვლილ საბჭოთა წინადადებაზე, რომელიც, შესაძლოა, ასახავს კრემლის „ახალ მიდგომას“ ატომის ენერგიაზე კონტროლის პრობლემისადმი. მოსკოვის ნოტა გაფრთხილებას იძლევა, რომ ყოველგვარ შესაძლო მოლაპარაკებაში საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, რომ ყველა მონაწილე ქვეყანამ ვალდებულება იკისროს არ გამოიყენოს ატომური იარაღი...

საბჭოთა ნოტა ნათლად გვიჩვენებს, რომ კრემლი უარს არ ამბობს თავის მოთხოვნაზე სრული აკრძალვის შესახებ, მაგრამ მიაჩნია, რომ ვალდებულება — არ იქნას გამოყენებული ატომური იარაღი, მსგავსად წინანდელი შეთანხმებებისა მომწამვლელ ნივთიერებათა აკრძალვის შესახებ, შეიძლება ქმედითი აღმოჩნდეს“.

მაგრამ იგივე მიმომხილველნი ცდილობენ წინასწარ შებღალონ საბჭოთა წინადადებები და აცხადებენ, რომ ეს წინადადებები მიუღებელია. მაგალითად, გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ აცხადებს: „მხოლოდ მიამიტს შეუძლია დიდი იმედები დაამყაროს საბჭოთა განცხადებაზე. მაგრამ მარტო სულელი უარყოფდა მას ისე, რომ იგი გულმოდგინედ არ შეესწავლა“. ხსენებული მიმოხილველი ჰაიტაუერი აცხადებს, რომ, ექსპერტების აზრით, „განსხვავება რუსეთისა და შეერთებული შტატების ძირითად თეზისებს შორის ისეთივე რჩება, როგორც წინათ“, და რომ „ერთი შეხედვით თითქმის წარმოუდგენლად გვეჩვენება, რომ ამერიკელები დათანხმდნენ ამ სტადიაზე — იკისრონ ვალდებულება არ გამოიყენონ ატომური შეიარაღება. ამგვარად ამერიკელთა სამხედრო გეგმებში ატომური შეიარაღება გათვალისწინებულია როგორც ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღება. საბჭოთა კავშირს ეს კარგად ესმის“.

ამავე აზრს ხაზს უსვამს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი რესტონი. მისი სიტყვით, არ არის მითითება იმაზე, რომ „შეერთებულმა შტატებმა ნამდვილად შეცვალეს თავიანთი პოლიტიკა“ ატომის ენერგიის საკითხში. „პირიქით, — წერს რესტონი, — ამერიკის თავდაცვის ახალი ბიუჯეტი მეტ ადგილს უთმობს ატომურ იარაღს, ვიდრე წინა ბიუჯეტი“. რესტონი ფიქრობს, რომ „საეჭვოა მოხერხდეს ეიზენჰაუერის სიტყვის დებულებებისა და მოსკოვის პასუხის ერთმანეთთან შეთანხმება“.

რესტონმა ამოცანად დაისახა უპასუხოს „ეიზენჰაუერის გეგმის“ კრიტიკას, რომელსაც საბჭოთა განცხადება შეიცავს. მაგრამ არსებითად რესტონი იძულებულია აღიაროს, რომ „ეიზენჰაუერის გეგმა“ ვერ აღმოფხვრის ატომური ომის საფრთხეს.

„მას (ე. ი. ეიზენჰაუერს. — **რედ.**), — წერს რესტონი, — მიზნად არ დაუსახავს ყველა პრობლემის გადაჭრა...“ მას არ მოუთხოვია სრული მოწესრიგება. იგი მხოლოდ ითხოვდა, რომ იმ ქვეყნებს, რომლებსაც ეს ეხება, გამოეყოთ ხელიდან მასალათა რაიმე ნაწილი და შესაძლებლობა მიეცათ ყველა ქვეყნის მეცნიერთათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით გამოერკვიათ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების შესაძლებლობანი“.

მაგრამ რესტონს სწორედ ეს მიაჩნია ეიზენჰაუერის წინადადების „ღირსებად“, ხოლო ყოველგვარ ცდას „მთლიანად გადაიჭრას ატომის ენერგიის პრობლემა“ (ე. ი. ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების პრობლემა), წინასწარ აცხადებს ჩაფუშვისათვის განწირულად.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ მიმომხილველი ლიპმანი სტატიაში სათაურით „ახალი საბჭოთა პოზიცია“, აღნიშნავს, რომ საბჭოთა განცხადება იძლევა „მეტად საგულისხმო მითითებას საბჭოთა პოზიციის არსებითს შეცვლაზე“ ატომური იარაღის საკითხში.

ლიპმანი წერს: „უთანხმოება ჩვენს შორის (ე. ი. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. — **რედ.**) ძალიან დიდი რჩება, მაგრამ ეს ისეთი უთანხმოებაა, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას“.

აღნიშნავს რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წინადადებანი „შემოფარგლულია ატომურის ენერგიის არასამხედრო ასპექტებით“, ლიმპანი შემდეგ წერს: „საბჭოთა კავშირი ეთანხმება მას (ე. ი. ეიზენჰაუერს. — **რედ**) აზრს, რომ მისი წინადადებანი საიდუმლოდ განხილონ. მაგრამ მან საფუძველი ჩაუყარა აგრეთვე ატომგულის ენერგიის სამხედრო გამოყენების საკითხის საჯარო განხილვას. მისი ახალი პოზიციის გამო არავითარი საფუძველი არა გვაქვს არ შეეუერთდეთ კამათს...“

პარიზი. 24 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს ლონდონელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, რომ ლონდონის ინფორმირებული წრეები მოელიან, რომ მალე მოეწყობა „ატომის ენერგიის მქონე მთავარი სახელმწიფოების — შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და კანადის“ თათბირი ამ მიზნით, რომ შეთანხმდნენ ეიზენჰაუერის წინადადების — ატომის პულის შექმნის შესახებ საბჭოთა პასუხის თაობაზე.

რაც შეეხება დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის „კონფიდენციალურ მოლაპარაკებას“, რასაც ეიზენჰაუერი მოითხოვს, კორესპონდენტის სიტყვით, ლონდონში „ფიქრობენ, რომ ეს მოლაპარაკება გაიმართება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ფარგლებში“.

ლონდონი, 24 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „დეილი უორკერმა“ დაბეჭდა მთელ რიგ თვალსაჩინო ინგლისელ მოღვაწეთა აზრი, რომლებიც იწონებენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამოსვლის გამო.

ინგლისის მეთოდისტური ეკლესიის ხელმძღვანელმა დონალდ სპერმა განაცხადა: „დიდი ხანია უკეთესი ამბავი არ მსმენია... ჩემი აზრით, რუსების წინადადების მიღება მშვიდობის ინტერესებს შეესაბამება“.

„მე ვფიქრობ, — თქვა კენტერბერის ტაძრის წინამძღვარმა დოქტორმა ჰიულეტ ჯონსონმა, — რომ რუსეთი მეტად ბრძნულად მოიქცა... რუსები იმდენად დარწმუნებული ჰრიან, რომ ატომური ომი არ იქნება, რომ უდიდეს თანხებს ხარჯავენ არა ომის მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენებისათვის, არამედ თავიანთი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის“.

ლეიბორისტმა — პარლამენტის წევრმა ჯონ ბერდმა ხაზგასმით აღნიშნა: „მე მეინტერესება, რამდენ ხანს შეძლებს კიდევ ამერიკა საბჭოთა კავშირს დასწამოს ავრესიული განზრახვები, სანამ ადამიანები გაიღვიძებდნენ და მიხვდებოდნენ, რომ რუსეთმა გაიცილებით მეტი დაუთმო დასავლეთს, ვიდრე დასავლეთმა რუსეთს. ეიზენჰაუერის გამოსვლაზე საბჭოთა მთავრობის პასუხი კონსტრუქციული და სასარგებლოა“.

„ეიზენჰაუერის წინადადებაზე საბჭოთა მთავრობის პასუხი, — განაცხადა ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯ. ბერნალმა, — მეტად სასიხარულო მოვლენაა. საბჭოთა მთავრობამ ცხადყო, რომ თანახმაა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხი განიხილოს საერთაშორისო საფუძველზე. მაგრამ საბჭოთა მთავრობა მეტად გონივრულად მოითხოვს, რომ ატომური მასალების არა რაღაც ნაწილი, არამედ მთელი მასა მოხმარდეს ამ მიზნებს, და მოუწოდებს, რომ ოფიციალურად თქვან უარი ატომური იარაღის გამოყენებაზე“.

ლონდონი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონის მთელმა რიგმა რადიომიმომხილველებმა გაუკეთეს კომენტარი საბჭოთა მთავრობის განცხადებას და ცდილობენ აჩვენონ ეიზენჰაუერის გეგმის „უპირატესობა“ საბჭოთა წინადადების წინაშე, რომელიც ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა საზეიმოდ იკისრონ უშენიშვნო ვალდებულება არ გამოიყენონ მასობრივი მოსპობის იარაღი. ყველა ეს მიმომხილველი მაინც ვერ უარყოფს, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადება ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების ეფექტიანი საშუალება არ არის.

მაგალითად, მიმომხილველი მორის ლეიტე აღიარებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წინადადება „რასაკვირველია, პრობლემას არ წყვეტს“, თუმცა „შესაძლებელს ხდის ერთგვარ პროგრესს“. ატომის პრობლემის სრული გადაჭრა კი, ამტკიცებს ლეიტე, „ჯერ კიდევ შეუძლებელია“.

დელი, 24 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, ინდოეთის პრესა მიესალმება ცნობას, რომ საბჭოთა მთავრობამ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადება მოეწყოს კონფიდენციალური ან დიპლომატიური მოლაპარაკება ატომის ენერგიის საკითხებზე.

როგორც გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ წერს, საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ მზად არის „ატომის ენერგიის საკითხის გადაჭრას მიუღგეს თანამშრომლობისა და ურთიერთ მეცადინეობის სულისკვეთებით“.

კომუნიკე კორეა-ჩინეთის დელეგაციისა დაზავების სამხედრო კომისიაში

პეკინი, 24 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტმა გუშინ კესონიდან გადმოგვცა კომუნიკე კორეა-ჩინეთის დელეგაციისა დაზავების სამხედრო კომისიაში. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ამერიკის მხარემ 21 და 22 დეკემბერს კვლავ გამოიყენა ტყვე ჩინელთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩაშლის ტაქტიკა. ამ მიზნით მან საუბრებში თავის „წარმომადგენლებად“ გამოიყენა მთელი რიგი ჩანკაიშელი აგენტები, რომლებიც ტყვეებს აშინებდნენ.

ამასთან დაკავშირებით კორეა-ჩინეთის მხარემ ერთხელ კიდევ მოსთხოვა ნეიტრალურ სარეპატრიაციო კომისიას დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნორმალური პირობები ახსნა-განმარტებითი მუშაობისათვის.

კომუნიკეში მოყვანილია სახელობითი სია ათი ცნობილი ჩანკაიშელი აგენტისა, რომლებიც ახსნა-განმარტებითს მუშაობას ფუშავდნენ.

კორეის წითელი ჯვრის საზოგადოების კომისიის ოქმი

ფხენიანი, 24 დეკემბერი. (საკდესი). კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გადასცა კორეის წითელი ჯვრის საზოგადოების კომისიის ოქმი. ამ კომისიამ გამოიძია ბოროტმოქმედებანი ამერიკის შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც სამეფიცინო ექსპერიმენტებს ახდენდნენ კორეის სახალხო არმიის ტყვე მებრძოლებსა და ოფიცრებზე. ოქმს ხელს აწერენ კორეის მთელი რიგი წამყვანი ექიმები კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრობის კანდიდატის თერაპევტ ცოი ინ სეკის მეთაურობით. მასალებს ამ დოკუმენტისათვის, რომელიც შეიცავს ამერიკის არმიის ჰოსპიტლებში სამხედრო ტყვეთა ბარბაროსული წამების მრავალ ფაქტს, წარმოადგენს იმ რეპატრიირებულ სამხედრო ტყვეთა ჩვენება, რომელთაგანაც ამჟამად ბევრი მკურნალობს, აგრეთვე სხვა ცნობები, რომლებიც კომისიის განკარგულებაშია. ამ პირთა შორის, ვინც ჩვენება მისცა, რამდენიმე კორეელი ექიმი, რომლებსაც დატყვევების დროს იყენებდნენ სამუშაოდ ამერიკელთა ჰოსპიტლებში.

ოქმში ნათქვამია, რომ ამერიკის სამხედრო ხელისუფლები უხეშად არღვევდნენ რა საერთაშორისო სამართლის ნორმებს, უგულებელყოფდნენ რა ჰუმანურობის ელემენტარულ პრინციპებს, ფართოდ იყენებდნენ კორეის სახალხო არმიის სამხედრო ტყვეებს სამედიცინო ცდების ობიექტებად, რამაც გამოიწვია ბევრი სამხედრო ტყვის სიკვდილი და მძიმე დასახიჩრება. მაგალითად, ქალაქ პუსანის საველე ჰოსპიტალში ამერიკელი ექიმები კონრი და კენფიელი ძალით უკეთებდნენ ქირურგიულ ოპერაციებს ჯანმრთელ სამხედრო ტყვეებს. სიკვდილიანობამ ამ ოპერაციების დროს 80 პროცენტს მიაღწია. იმავე ჰოსპიტალში ერთი ამერიკელი ქირურგი ტყვეებზე ცდიდა სიცივის მოქმედებას. მოყინვის შემდეგ იმ ტყვეთა უმრავლესობას, რომლებზეც ცდებს აწარმოებდნენ, კიდურები მოკვეთეს. № 2 ბანაკთან არსებულ № 1493 საავადმყოფოში სამხედრო ტყვეებს ტიფის ვაქცინების დიდი დოზები შეუშხაპუნეს.

ამავე დროს არავითარ მკურნალობას არ უწევდნენ ნამდვილად ავადმყოფ სამხედრო ტყვეებს. ადამიანებს, რომლებიც დაავადებული იყვნენ ტუბერკულოზით, დიზენტერიითა და სხვა სნეულებით, სცემდნენ და ისეთ პირობებში ამყოფებდნენ, რომლებშიც ისინი მალე იხოცებოდნენ.

კორეის წითელი ჯვრის კომისიის წევრები მოწოდებით მიმართავენ მთელი მსოფლიოს მეცნიერების მუშაკებსა და კეთილი ნების ყველა ადამიანს პროტესტი განაცხადონ იმის წინააღმდეგ, რომ მეცნიერებას ადამიანთა დასახოცავად იყენებენ.

ნერუს სიტყვა ინდოეთის პარლამენტში

დელი, 24 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის საღამოს სხდომაზე ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ სიტყვა წარმოთქვა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. იგი შეეხო კორეის საკითხს, პაკისტან-ამერიკის ურთიერთობას და აზიაში კოლონიალიზმის საკითხს.

შეეხო რა კორეის საკითხს, ნერუმ აღნიშნა, რომ ინდოეთის მთავრობას სურს, რათა ორივე სარდლობა შეთანხმდეს სამხედრო ტყვეებთან ახსნაგანმარტებითი მუშაობის ვადის გაგრძელების შესახებ. პაკისტან-ამერიკის ურთიერთობის საკითხზე ნერუმ განაცხადა, რომ პაკისტანის თანხმობა ამერიკის სამხედრო დახმარების მიღებაზე პრაქტიკულად ნიშნავს პაკისტანის ტერიტორიის გადაქცევას ამერიკის შეერთებული შტატების ბაზად. კოლონიალიზმის საკითხზე ნერუმ გაიმეორა თავისი წინანდელი აზრი — დაგმო კოლონიალიზმი და რასობრივი დისკრიმინაცია, რასაც შეერთებული შტატები და ევროპის ქვეყნები ახორციელებენ აზიასა და აფრიკაში.

მეორე საკითხზე ნერუს გამოსვლის დროს ამერიკის ელჩმა დელში ალენმა დემონსტრაციულად დატოვა სახალხო პალატის დიპლომატიური ლოჟა.

მდგომარეობა თეირანში

თეირანი, 24 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ 22 დეკემბერს თეირანის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაში გაიმართა საბრიტანეთო დემონსტრაცია ირანისა და ინგლისის დიპლომატიური ურთიერთობის განახლების წინააღმდეგ. დემონსტრანტებს თავს დაესხნენ პოლიციელები, რომლებმაც ცეცხლი გამოიყენეს. დემონსტრანტთა რიცხვიდან ერთი კაცი დაჭრილია. დაპატიმრებულ იქნა დემონსტრაციის ბევრი მონაწილე, მათ შორის 8 სტუდენტი.

ქალაქის ზოგიერთ პუნქტში დემონსტრაციები გაიმართა გუშინაც. ირიან დაპატიმრებულები.

გაზეთი „პოსტე ტეგერანი“ იუწყება, რომ პოლიციის სამმართველოში დაპატიმრებულთ თმას კრეკდნენ, წარბებს პარსავდნენ და შემდეგ ზოგიერთს ასეთი სახით ათავისუფლებდნენ.

გაზეთი „ქეიხანი“ წერს, რომ ბაზრის რაიონში გუშინ სამხედრო პატრულები გაძლიერეს.

როგორც გაზეთი „ეთელაათი“ იუწყება, თეირანის უნივერსიტეტის სტუდენტები, გარდა მცირე ჯგუფისა, კვლავ უარს ამბობენ დაესწრონ ლექციებს. იგივე გაზეთი იუწყება, რომ გათლების სამინისტროს სპეციალური კონტროლიორები კვლავ „წმენდნენ“ თეირანის საუნელო სკოლებს, მათ შორის ქალთა სკოლებს, „წამქეზებელ მოსწავლეთაგან“.

თურქეთის პრეზიდენტის მომპაპალი ვიზიტი პაკისტანში

კარაჩი, 24 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „იმროზი“ იუწყება, სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ თურქეთის პრეზიდენტმა ჯელალ ბაიარმა მიიღო პაკისტანის მთავრობის მიწვევა ინახულოს პაკისტანი.

საბჭოთა მსახიობების წარმატება პარიზში

პარიზი, 24 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ პარიზის უდიდეს საკონცერტო დარბაზ პლეიელში გაიმართა საბჭოთა [illegible] საბჭოთა მსახიობ[illegible] ჯგუფ[illegible] [illegible]ბას იღებდა საბჭოთა მუსიკის, სიმღერისა და ცეკვის ფესტივალში. ეს ფესტივალი, რომელიც 8 დეკემბერს დაიწყო, მოაწყო „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციამ.

პლეიელის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. კონცერტამდე ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე ყველა ბილეთი გაყიდული იყო. დამსწრენი უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ ზარა დოლუხანოვას, ახალგაზრდა მუსიკოსების იგორ ოისტრახისა და დავიდოვიჩის, სსრ კავშირის დიდი თეატრის მსახიობის ოტდელენოვის, ერევნული ცეკვების შემსრულებლის გალია იზმაილოვას, აგრეთვე პიატნიცკის სახელობის გუნდის მოცეკვავეთა ჯგუფის გამოსვლას.

„საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა მარკიეზ ფრანგ შრომელთა სახელით მოკლე სიტყვით გადაუხადა მადლობა საბჭოთა მსახიობებს, როგორც მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს. მან რწმენა გამოთქვა, რომ საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის მეგობრული და კულტურული ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება.

ბულგარეთის სახალხო კრების არჩევნების შედეგები

სოფია, 23 დეკემბერი. (საკდესი). ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა ბულგარეთის სახალხო კრების არჩევნების საბოლოო შედეგები. არჩევნები გაიმართა 20 დეკემბერს.

5.017.667 ამომრჩეველიდან არჩევნებში მონაწილეობდა 4.991,638 ამომრჩეველი, ანუ 99,48 პროცენტი. სამამული ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 4.981.594 კაცმა, ანუ კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა 99,8 პროცენტმა. გაუქმებულად იქნა ცნობილი 967 ბიულეტენი, სამამული ფრონტის კანდიდატების წინააღმდეგ ხმა მისცა 9.077 ამომრჩეველმა, ანუ 0,18 პროცენტმა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოარკვია, რომ არჩევნების მოწყობაში სავსებით იყო დაცული სახალხო კრების არჩევნების კანონი, და რეგისტრაციაში გაატარა სახალხო კრების დეპუტატებად სამამული ფრონტის კანდიდატების არჩევა ყველა 249 საარჩევნო ოლქში.

ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ზეგავლენას ახდენენ საფრანგეთზე

ლონდონი, 24 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტომ გამოაქვეყნა თავისი ვაშინგტონელი კორესპონდენტის შემდეგი ცნობა:

„23 დეკემბერს თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ, პრეზიდენტ ეიზენჰაუერის აზრით, თუ ევროპის თავდაცვითი გაერთიანება მალე არ შეიქმნა, „შეერთებული შტატები საჭიროდ მიიჩნევენ გადასინჯონ თავიანთი ძირითადი პოლიტიკა ევროპის მიმართ“.

თეთრი სახლის (თეთრი სახლი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეზიდენციაა. — **რედ.**). განცხადება, რომელზეც იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, იმის ახალი გამოვლინებაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ზეგავლენას ახდენს საფრანგეთზე. ეს განცხადება მოწმობს, რომ სახელმწიფო მდივნის დალესის ამასწინანდელმა გამოსვლებმა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს სესიასა და პარიზის 14 დეკემბრის პრეს-კონფერენციაზე, როცა იგი უხეშად მოითხოვდა, რომ საფრანგეთმა მალე დაამტკიცოს ხელშეკრულება ევროპოწოდებული „ევროპის არმიისა“ და დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ, ვერ მოუტანა ამერიკის ხელისუფალთ სასურველი შედეგები. ამის გამო ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებმა ახალ ზეგავლენას მიმართეს — თეთრი სახლის გუშინდელი განცხადება გამოაქვეყნეს.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

საზოგადოებრივ ადგილებში საახალწლო ნაძვისხის მოწყობის დროს სახანძრო უშიშროების წესების შესახებ

1. ნაძვისხის მოწყობა საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის წარმომადგენლის მიერ წინასწარ დაუთვალიერებლად და მისი გასნა წერილობითი ნებართვის მიუღებლად აკრძალულია (ქალაქ თბილისში ნებართვას გასცემენ რაიონული სახანძრო ინსპექციები).
2. ნაძვისხე არ უნდა დაიდგას გასასვლელებში და გასასვლელების ახლოს.
3. ნაძვისხის ზომა ისეთი უნდა იყოს, რომ მისი ტოტები არ ეხებოდეს სათავსის ჭერს და კედლებს, დაცილებული იყოს მათ სულ მცირე ერთი მეტრით.
4. სკოლებსა და საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში, სადაც ელექტროგანათება არ არის, ნაძვისხე შეიძლება მოწყობილ იქნას მხოლოდ დღისით, ნაძვისხის სანთლებით განათება კატეგორიულად აკრძალულია.

შენიშვნა: თუ ბინებში ნაძვისხის განათება სანთლებით ხდება, აუცილებელია სანთლების მჭიდროდ ჩამაგრება ნაძვისხის შანდლებში. სანთლები დაცილებული უნდა იყოს ტოტებსა და დაკიდებულ სამკაულებს.

5. ნაძვისხე დარბაზის შუა ადგილს უნდა დაიდგას მყარ ჯვარისებურ სადგარზე, სველ მიწიან ან სილიან კასრში ან ყუთში.
6. ნაძვისხის გაფორმებისას როგორც საზოგადოებრივ ადგილებში, ისე ბინებში აკრძალულია:

ა) ცელულოიდის და სხვა ადვილად აალებადი სათამაშოებისა და მოკაზმულობის ჩამოკიდება;

ბ) სადგარსა და ტოტებზე ცეცხლგამძლე ხსნარით გაუჟღენთავი ბამბის დაფენა და ასეთივე ხსნარით გაუჟღენთავი ბამბის ნაკეთობათა დაკიდება;

გ) ნაძვისხეზე ბერთოლეს მარილის დაყრა;

7. ნაძვისხე შემოფარგლული უნდა იყოს ქვედა ტოტებიდან 0,5 მეტრით დაცილებული გამძლე მოაჯირით.
8. ილუმინაცია საიმედოდ და ყველა ელექტროტექნიკური ნორმისა და წესის დაცვით უნდა იყოს მოწყობილი.
9. ილუმინაცია, როგორც წესი, მოწყობილი უნდა იყოს ძაბვის დამწევი ტრანსფორმატორის საშუალებით 12-ვოლტიანი ნათურებით.
10. ნაძვისხის განათების მოწყობილობაში სულ მცირე საეჭვო მდგომარეობის შემჩნევისას (სადენების ზომაზე მეტად გახურება, ნათურების ციმციმი, ნაპერწკლიანობა და სხვ.) ილუმინაცია უნდა გამოირთოს და იგი შეიძლება ჩართულ იქნას უწესივრობის აღმოფხვრის შემდეგ.
11. ნაძვისხეზე სინათლის ანთების წინ შემოწმებულ უნდა იქნას: განათების წესიერობა, ხანძრის ქრობის საშუალებათა არსებობა (ცეცხლსაქრობები, წყალი ვედროში და სხვა ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს ნაძვისხეზე დამსწრეთა უშიშროებას).
12. ნაძვისხის დღესასწაულის დროს ყველა გამოსასვლელი ღია უნდა იყოს და მათთან მორიგეებად უნდა იდგნენ მოზრდილები.
13. ის ოთახი, სადაც ტელეფონი დგას, ღია უნდა იყოს, იქვე აპარატთან გაკრული უნდა იყოს უახლოესი სახანძრო რაზმის ტელეფონის ნომერი.
14. ნაძვისხის მოწყობის დროს აკრძალულია:

ა) სხვადასხვა სახის ფეიერვერკის გაჩაღება, ბენგალის ცეცხლის, მაგნიუმისა და ტკაცუნების ხმარება;

ბ) ნორმაზე მეტი რაოდენობით ბავშვების დაშვება (10 კვ. მეტრზე დასაშვებია 15-16);

გ) მთლიანად სინათლის ჩაქრობა იქ, სადაც ნაძვისხეა მოწყობილი;

დ) ასანთის ანთება და თამბაქოს მოწევა.

აკრძალულია ნაძვისხესთან იმ ბავშვებისა და მოზრდილების დაშვება, რომლებსაც, ბამბის, ქაღალდის, მარლისა და სხვა ადვილად აალებადი ცსოვილის სამკაულები აქვთ, აგრეთვე ნაძვისხის გარშემო ანთებული სანთლებით თამაშის მოწყობა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო.

სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მოგებიანი სესხის ოგლიგაციებით შეიძლება 400-დან 100.000 მანეთამდე მოგების მილება

ყოველწლიურად იმართება ამ სესხის მოგებათა ექვსი ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.

ძირითადი ტირაჟები ეწყობა ყოველი წლის 30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს და დამატებითი ტირაჟი — 30 სექტემბერს.

მოგება, რომელიც ობლიგაციას ძირითად ტირაჟში ხვდა, გაიცემა ობლიგაციის შეძენის ვადის მიუხედავად. მოგება, რომელიც ობლიგაციას დამატებითს ტირაჟში ხვდა, გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაცია შეძენილია დამატებითი ტირაჟის ვადამდე სულ მცირე ცხრა თვით ადრე.

ძირითად ტირაჟში სესხის თვითეულ თანრიგზე გათამაშდება 4.650.200 მანეთის 8.500 მოგება, ხოლო დამატებით ტირაჟში — 11.390.600 მანეთის 11.500 მოგება.

დამატებითს ტირაჟში, გარდა 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400-მანეთიანი მოგებებისა, გათამაშდება აგრეთვე 100.000-მანეთიანი მოგება.

მოგებათა მორიგი მეშვიდე დამატებითი ტირაჟი შედგება 1954 წლის 30 სექტემბერს.

ობლიგაციებს № 7 ტალონითა და ყველა მომდევნო ტალონებით შემნახველი სალაროები ყიდიან 1954 წლის 1 თებერვამდე. 1954 წლის 1 იანვრის შემდეგ გაყიდულ ობლიგაციებს № 7 ტალონი არ ექნება.

სესხის ოგლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3-%-იანი შინაგანი მოგებიანი სესხის ოგლიგაციები!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

26 დეკემბერს	ჯ. პუჩინი — **ტოსკა** (დ. დონატოვის მონაწილეობით).
27 დეკემბერს	დღის 12 საათზე გ. კილაძე — **ხინათლე** საღამოს ჰ. ჩაიკოვსკი — **ევგენი ონეგინი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

რუსეთის სახალხო არტისტის

ვლადიმერ დეროვის

პროგრამის I ციკლის

უკანასკნელი დღეები

და დიდი განახლებული საცირკო პროგრამა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე და 30 წ.

ვერეას, 27 დეკემბერს.

დღის 2 საბავშვო ნარმოდგენა

დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში და რუსთაველის პროსპ. № 1, 24. პლეხანოვის პროსპ. № 97. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე

ღღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში